

ჰოლიდიკა

იხადი და რეალობა

ახალი იმედები და სრული საერთაშორისო მხარდაჭერა - ეს იყო ის განწყობა, რომელმაც რევოლუციის შემდეგ დაისადგურა და რომლის შენარჩუნებასაც დაუღალავი ენთუზიაზმით და სწორად წარმართული პიარ-კამპანით ცდილობს მიხეილ სააკაშვილი.

თუმცა, ამ ყველაფრის ხელშეასხები შედეგი, ჯერჯერობით, მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებებია, რომელსაც თითქმის ყველა ეწინააღმდეგებოდა თავად ხელისუფლების გარდა.

A3

უცხოეთი

ლეკაშენკოს ბრძოლა კორუფციასთან

ბელორუსის გენერალურმა პროკურორმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა სახელმწიფო ტელე-რადიო კომპანიის ყოფილი ხელმძღვანელის, იგორ რიბაკოვის წინააღმდეგ, სახელმწიფო ქონების გაფლანგვის, კორუფციისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით.

A5

საზოგადოება

მეჩეჩილი პროგრამა ახალ მინისტრთან ერთად ამოქმედდება

გუშინ თბილისის საკრებულომ დედაქალაქის სკოლების დირექტორებსა და განათლების მუშაკებს თბილისის განათლების სისტემის განვითარების პროგრამა გააცნო. "სანამ ძველი ხელისუფლება იყო, ამ პროგრამას ვერ განვახორციელებდით, მაგრამ ახალი ხელისუფლება და განათლების ახალი მინისტრიც მის ამოქმედებას ყველანაირად შეუწყობენ ხელს," - განუმარტა მსმენელებს საკრებულოს განათლების ქვეკომიტეტის ხელმძღვანელმა გია მურულუამ.

A6

სამართალი

მართლმსაჯულების მიერ გათავისუფლებული ჩაჩენი ბაიჩინარდენე

ქართული მართლმსაჯულების თითქმის ყველა ინსტანციამოვლილი ორი ჩეჩენი პატიმარი ბეკზან მულუკოვი და ჰუსეინ ალხანოვი, რომლებიც ერთი კვირის წინ, ბოლოს და ბოლოს, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს, უკვე მესამე დღეა დაკარგულებად მიაჩნიათ. ნათესავებმა და ახლობლებმა მოულოდნელად გაუჩინარებული ორი ყოფილი ჩეჩენი პატიმრის ადგილსამყოფელის შესახებ არაფერი იციან.

A7

ახიფი

თბილისი 4 ☁

ქუთაისი 4 ☀

ბათუმი 3 ☀

სოხუმი 1 ☀

ფოთი 3 ☀

თელავი 2 ☁

ზუგდიდი 3 ☀

გორი -2 ☁

ახმეტა 3 ☁

ჭიათურა 1 ☀

ბაგრა 1 ☀

სამტრედია 3 ☀

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი 2.0600

ევრო 2.6397

გირვანქა სტერლ. 3.8986

რუბლი 0.0722

რატომ მხოლოდ ჩაჩენის მონაქვეთზე და არა - ფსონზე?

საქართველო და რუსეთი მეორედ იწყებენ საზღვარზე ერთობლივ თანამშრომლობას

მოსკოვში საქართველოს პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტის ერთ-ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად, ქართველი და რუსი მესაზღვრეების მიერ ჩრდილოეთ საზღვრის ერთობლივი პატრულირების დაწყება გამოცხადდა. თუმცა, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ეს უკვე საზღვრის ერთობლივი გაკონტროლების მესამე მცდელობაა და მაინც ზუსტად არავინ იცის, რა დატვირთვას ატარებს სიტყვა "ერთობლივი"; ანდა რატომ ცხადდება თანამშრომლობის ასპარეზად ჩეჩნეთ-ინგუშეთის მონაკვეთი და არა მდინარე ფსოუსთან გამავალი აფხაზეთის სასაზღვრო მონაკვეთი.

კობა ლიპლიძე "რადიო თავისუფლება" „საპროლაზარ“ 24 საათისთვის

საქართველოსა და რუსეთის სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელებმა საზღვრის ერთობლივი დაცვის შესახებ ოქმს ხელი ჯერ კიდევ 2002 წლის 17 ოქტომბერს, ერე-

ვანში გამართული თანამეგობრობის სასაზღვრო სამსახურების სამიტის დროს მოაწერეს ხელი. ოქმის თანახმად, თანამშრომლობის მიმართულებად განისაზღვრა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთ-ინგუშეთის მონაკვეთი,

ბაგრძალაბა A2 ბავრდუა

"იხადის მთავრობის" ნდობის წამოგონი ჩართულობა

გიორგი ასანიშვილი

გუშინ პარლამენტმა, 165 ხმით ხუთის წინააღმდეგ, ზურაბ ჟვანიას მინისტრთა კაბინეტსა და მის პროგრამას სრული ნდობა გამოუცხადა. "იმედის მთავრობად" მონათლული გუნდის ლიდერი, თავის მხრივ, საზოგადოებას ჰპირდება, რომ ჩამოაყალიბებს სრულიად ახალი ტიპის ხელისუფლებას, რომელსაც თავის წინამორბედთან ძალიან ცოტა რამ ექნება საერთო.

როგორც ჩანს, წარსულს ბარდება ის დრო, როდესაც ქვეყანა "ჭამისა და ძილის მინისტრების" ხელში იყო და მათი "სიზმრების წიგნებით" იმართებოდა. "მე არ დამავიწყდება იმ ხალხის სახეები, ვინც ვარდების რევოლუცია მოაწყო. ეს ხალხი იმედგაცრუებას აღარ მოითმენს", - პრემიერ-მინისტრი სრულად აცნობიერებს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც მას და მინისტრთა კაბინეტის დანარჩენ წევრებს ნდობის ვოტუმის მიღების შემდეგ დაეკისრათ.

ბაგრძალაბა A3 ბავრდუა

ამ გუნდისგან საქართველო მხოლოდ გამარჯვებას ელის.

წვიმიანი ღონდონი ქალტაბით, ვარგაველი ქალბითა და ვარიკაბით

B3





დღეს საკრებულოში ვალტარ შვიმარი ჩამოდის

თამარ ხორბალაძე

დღეს საღამოს საქართველოში ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ვალტერ შვიმარი ჩამოდის. ვიზიტი სამდღიანია და ამ ვიზიტის პირველივე დღეს ევროსაბჭოს გენერალური მდივანი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, უშიშროების საბჭოს მდივანს და გენერალურ პროკურორს შეხვდება. შვიმერის შეხვედრა გენერალურ პროკურორთან ამკარად ხაზს უსვამს ევროსაბჭოს განსაკუთრებულ მიდგომას საქართველოში კორუფციის დაძლევისა და, ამასთან ერთად, ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხისადმი.

ხუთშაბათს ვალტერ შვიმერი საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ცესკო-ს თავმჯდომარეს და სხვა ოფიციალურ პირებს, აგრეთვე პოლიტიკურ პარტიებს და არასამთავრობოებსაც შეხვდება. პარასკევს კი ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ასევე აბამიძისთან გაემგზავრება.

ბაგრძალაბა A2 ბავრდუა

ქართველი ტანკისტები - წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ბოლო აქორდი

6 იანვრიდან მოყოლებული, 11 სექტემბრის ტერაქტის მსხვერპლთა სახელობის სამხედრო პოლიგონზე, წვრთნას გადიან ჯავშანსატანკო ბატალიონის მებრძოლები, რითაც მთავრდება 64 მილიონ დოლარად შეფასებული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა საქართველოში. ამ პროგრამის ფარგლებში საქართველომ 2000-მდე კარგად გაწვრთნილი პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურე უნდა მიიღოს. ამასთან, ამერიკის მხარის გადაწყვეტილებით "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის დახურვის შემდეგ ამერიკელი სპეციალისტები საქართველოში სხვა პროგრამებზეც გააგრძელებენ მუშაობას.

ბაგრძალაბა A2 ბავრდუა


მხანაგლობისა და ურბანიზაციის ყოფილ მინისტრს ბუჩინ ბრალი წაუყენეს

ინა ალაშვიძე

გენერალური პროკურატურა სადამსჯელო ღონისძიებების ჩატარებას კვლავ აგრძელებს. გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებებშია ზაზა ქაჩიბაძე "მაგთიკომის" პრეზიდენტი ვიკი ჯოხთაბერიძე "ინჯიას საქმეზე" გუშინ კიდევ ერთხელ დაკითხა.

გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრის ფრიდონ ინჯიას საქმეს ჯერ კიდევ ადვოკატობის პერიოდში შეეჭიდა. თავის დროზე, "ჯეოსელის" საქმეზე მიმდინარე სასამართლო დავა, რომელშიც ინჯიას გვარიც ფიგურირებდა, წლების წინ ოქრუაშვილის გამარჯვებით დასრულდა. წლების შემდეგ ამჟამინდელი გენერალური პროკურორი მისთვის კარგად ნაცნობ, კომუნიკაციის თემას კვლავ დაუბრუნდა, კავშირგაბმულობის თითქმის დავიწყებულ საქმეზე მტკერი გადაბერტყა და ამით ყოფილი პრეზიდენტის ოჯახის ხელშეუხებლობის გარანტიას საფუძველც შეურყია.

ბაგრძალაბა A7 ბავრდუა



ვალტერ შვიმერი.

პირაქეების ძირითად თემებთან დაკავშირებით, არ ვრცელდება. რა თქმა უნდა, ბათუმში ვიზიტი აბაშიძის პოზიციას კარდინალურად, ალბათ, ვერ შეცვლის, თუმცა, გარკვეული მოლოდინი ამ მიმართულებით უდავოდ არსებობს. გახსოვთ, ალბათ, რამდენიმე დღის წინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ასლან აბაშიძეს “მომენტის გამოყენებაც” შესთავაზა და ვალტერ შვიმერთან ერთად თბილისში ჩამოსვლა ურჩია. საინტერესოა, რომ ბათუმში ვალტერ შვიმერი აჭარის პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებსაც შეხვდება. ევროსაჭეჭოს გენერალური მდივნის ვიზიტი პარასკევს თბილისში ჟურნალისტებთან შეხვედრით დამთავრდება.

რატომ მხოლოდ ჩარებითი მონაქვეთოა და არა - ფსოუაჲ?

პირვალდი ბავარდიონა

რადგან მხარეთა ურთიერთპრეტენზიები სწორედ ამ მონაკვეთზე შექმნილი ოპერატიული მდგომარეობის გამო იჩენდა ფარს. ერევანში ხელმოწერილი ოქმის შემდეგ გაჩნდა თვორმულირება – “ერთობლივი პატრულორეაჲ”, რასაც ჩვენთან საუბარში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელი ასე განმარტავდნენ:

“ეს არის კავშირის დამყარება, ინფორმაციის გაცლა, ერთობლივი სწავლებების ჩატარება და ასეთი საკითხები.”

მოსკოვსა და თბილისს შორის სამხედრო თანამშრომლობის სფეროში ხანგრძლივი დაპირისპირებისად ურთიერთობის სრული განკვევტის ფონზე, ერევანში ხელმოწერილი შეთანხმება წინგადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალა. სულ მალე ამას მოჰყვა შეხვედრათა სერია მოსკოვსა და თბილისში, ერთობლივი სწავლება დაღესტანში.

ამ ფონზე ცოტა უცნაურად ჟღერდა მოსკოვში ყოფნად როსს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ყურადღების ხელახალი გამახვილება საზღვრის ერთობლივ დაცვაზე. მიხეილ სააკაშვილმა სასწრაფოდ გამოიძახა მოსკოვში გენერალი ვალერი ჩხეიძე და მას შესაბამისი შეთანხმების გაფორმება დაავალა. თუმცა, როგორც ირკვევა, მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმება დღიად არ განსხვავდება ერევანში ხელმოწერილი ოქმისგან და მისი არსი კვლავ ინფორმაციის გაცვლაზე დაიყვანება.

“სიახლე ის არის, რომ მუდმივი იქნება ინფორმაციის გაცვლა საგუშაგოს უფროსებისა და რაზმის უფროსების დონეზე, უფრო ინტენსიურად შეხვდებიან ერთმანეთს შტაბების უფროსები,” – აცხადებს საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი კორნელი სალია.

თუმცა, ერთი კია: პრეზიდენტების თანხმობით გულომცემტო ქართველმა მესაზღვრეებმა იქვე შესთავაზეს რუს კოლდებს, რომ ურთიერთთანამშრომლობის არეალად არა მხოლოდ ჩენქეთ-ინგუშეთის საზღვრის მონაკვეთი იქცეს, არამედ სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთისა და ე.წ. სამხეთ სსეთის მონაკვეთები, სადაც საზღვარს მთლიანად რუსი მესაზღვრეები აკონტროლებენ. მით უფრო, რომ 6 წლის წინ, ზუბირი შეთანხმების დონეზე, რამდენიმე თვით მოხერხდა ქართველი მესაზღვრეების მივლინება საქართველო-რუსეთის სახელმწიფო პრეცედენტ უკვე არსებობს და მოსკოვის შეთანხმების შემდეგ ჯერი სწორედ რუსეთზეა, რომელმაც ან უნდა გაითვალისწინოს ქართველი კოლდები წის მოთხოვნები, ან სულ მალე მხარეებს ისევ მოუწევთ არაერთხელ გადადეჭილი ერთობლივი პატრულირების შესახებ შეთანხმების ზარზეიმით ხელმოწერა.

ყენევაში ქართულ-აფხაზური შეხვედრა სოხუმის ხალისაფლახის წარმომადგენელთა ბარეაჲ ჩატარდა

გუშინ გაერო–ს ჟენევის ოფისში 17-18 თებერვლისათვის დაგეგმილი აფხაზი ხალხის მიერ განსაზღვრულ აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით, გაერო–ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების რიგით მე-3 ქართულ-აფხაზური შეხვედრა სოხუმის ხელისუფლების წარმომადგენელთა გარეშე გაიმართა. შეხვედრაში ქართული მხრიდან სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატი კონფლიქტების საკითხებში გოგა ხაინდრაფა და განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი მაღაზხ კაკაბაძე იღებენ მონაწილეობას. ქართულ-აფხაზური მაღალი დონის მორიგი შეხვედრა საქართველოში გაერო–ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის პაიდი ტალიაივინის ინიციატივით დაიგეგმა. სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, აფხაზური მხარე მიზანშეწონილად მიიჩნევს ჟენევის პროცესის ფარგლებში მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს პარალელურად, კონფლიქტის მოგვარების ახალი სტრუქტურების მოქმედებას.

შამბას თქმით, იმ შემთხვევაში, თუ გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნები თავიანთ დამოკიდებულებას შეიცვლიან, სოხუმზე გადახედვას თავის დამოკიდებულებას ჟენევის ფორმატად დადგემილ მოლაპარაკებებში სოხუმის ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ.

ინტერ-პრესი

პარტიათა „პარყმის“ ვადა ხვალ იწერება

ხვალ, საღამოს ექვს საათზე, იწერება ვადა, რომელიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 28 მარტის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს მისცა. სწორედ ამ დღეს უნდა გადაწყდეს საბოლოოდ, თუ ვინ ვისთან აპირებს წინასაარჩევნოდ “დაბოლოებას”.

ცესკო–ში ოფიციალური განაცხადი, ჯერჯერობით, ითხმა პარტიამ შეიტანა. არჩევნებისთვის ერთმანეთს “შეერწყნენ”: “საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია”, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია” და “საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირი”.

საგულისხმოა, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არაფერი იციან, რას მოიმოქმედებენ “ნაციონალური მოძრაობა” და “გაერთიანებული დემოკრატები”. ყოველ შემთხვევაში, უარი რეგისტრაციაზე, ჯერჯერობით, არც ერთ მათგანს არ უთქვამს. შესაბამისად, ხვალ გაირკვევა, რას მოიმოქმედებენ ცალკე “გაერთიანებული დემოკრატები” და ცალკე “ნაციონალები”.

ერთ-ერთი ვერსიით, დღეს “გაერთიანებული დემოკრატები” ცესკო–ს მათი საარჩევნო რეგისტრაციიდან მოხსნას მოსთხოვენ. აქედან გამომდინარე, დარჩება მხოლოდ “ნაციონალური მოძრაობა”, რომლის პარტიულ სიაშიც აღმოჩნდებაან “გაერთიანებული დემოკრატები”.

და კიდევ: საარჩევნო რეგისტრაციაზე უარი განაცხადა “ეროვნულ ძალთა გაერთიანებამ”, რომლის თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური “ნაციონალური მოძრაობის” ერთ-ერთი აქტივისტი და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თანაგუნდელია.

24 საათი

ეათო საპარლამენტო არჩევნახს მილიონი ევროთი დააფინანსახს



ხელშეკრულების გაფორმების ცერემონილი ფინანსთა სამინისტროში.

ეუთო 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებს 1 მილიონ ევროთი დააფინანსებს. ამის თაობაზე ეუთოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და გუთოს მისიის ხელმძღვანელი საქართველოში რრი რიგი შეთანხმდნენ. მათ ხელი მოაწერეს დოკუმენტს “2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის ხარჯების შევსების შესახებ”.

თანხას ეუთო იმისათვის გამოყოფს, რომ საპარლამენტო არჩევნები საქართველოში გამჭვირვალედ და მაღალ დონეზე ჩატარდეს. თანხის გადმოორცხვა ორ ეტაპად განხორციელდება. პირველ ეტაპზე ხაზინას ანგარიშზე 800 ათასი ევრო ჩაირიცხება, მოგვიანებით კი – 200 ათასი ევრო.

როგორც ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, არჩევნების დასაფინანსებელი თანხის დანარჩენ ნაწილს გაერო–ს განვითარების ფონდი და სხვა დონორი ორგანიზაციები გაიღებენ.

ეუთო–ს დახმარებით არჩევნები 15 ევროპულ სახელმწიფოში ფინანსდება.

24 საათი

უშიგროაზის სამინისტროს პოლიციური ფანქცია ჩამოართვა

მინისტრთა კაბინეტის მიერ პარლამენტში წარდგენილი საოქმედო პროგრამის მიხედვით, უშიშროების სამინისტროს ძალოვანი ფუნქცია ჩამოერთმევა და ეს სტრუქტურა სახელმწიფო უშიშროების პოლიტიკის შემუშავებაზე იზრუნებს. პროგრამის ავტორები მიიჩნევენ, რომ უშიშროების სამინისტროს უნდა ჩამოსცილდეს სამართალდამცველი სტრუქტურის ფუნქცია და იგი უნდა გადაკეთდეს საოქალაქო უსეებად. მისი ძირითადი ფუნქცია იქნება სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება, შეფასება და განაალიზება, კონტრსადაზვერვო, კონტრტერორისტული აქტივობების სპეციალური ოპერაციებისა და ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება.

ახალი მინისტრთა კაბინეტი ახალი მოთხოვნების შესაბამისად გეგმავს შემდეგი აუცილებელი ღონისძიების გატარებას - უშიშროების სამინისტროს უნდა გათავისუფლდეს პოლიციური და რეპრესიული ფუნქციებისგან, იგი უნდა გარდაიქმნას საინფორმაციო ანალიტიკურ სამსახურად; უნდა გაუქმდეს პოლიტიკური პოლიცია – სუკ–ის ყოფილი მე-5 მთავარი სამმართველო, რაც პოლიციური სახელმწიფოს არა მარტო მაგენ, არამედ სამშო გადმინაშთს წარმოადგენს.

გატარდება ადმინისტრაციულ-სტრუქტურული რეფორმა, მოხდება კადრების ოპტიმიზაცია და პროფესიული სტანდარტების დანერგვა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ადმინისტრაციულ-ანალიტიკური და ოპერატიული კადრების სტატუსის განსაზღვრა და გაძივნა.

ამასთანავე, ცალკე უშიშროების სამინისტროში შემავალი თითოეული სამსახურისათვის უნდა შემუშავდეს რანგიური ახალი სისტემა. უშიშროების სამინისტროს ქმედითუწარიანობის ასამაღლებლად აუცილებელია საკანონმდებლო საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფაც.

საჭიროა, პარლამენტმა მიიღოს ახალი სისხლის საზღვრის დაპროცესო კოდექსი, რომელიც უზრუნველყოფს დაცვის უფლებების განმტკიცებას, გამოიყენოს ჩატარების პროცედურების გამარტივებას, წინასწარი პატიმრობის ვადების შემცირებას და, სხვადასხვა უწყებებში ფავნტული სახელმწიფო ექსპერტების ნაცვლად, ერთიანი ძლიერი სახელმწიფო სასამართლო ექსპერტების სამსახურის ჩამოყალიბებას. აგრეთვე დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტების დამუშავა და მისი ყველა მხარისათვის ხელმისაწვდომობას.

უშიშროების სამინისტროს განსახორციელებელ პროგრამაში მითითებულია: უნდა გადაიხვედოს არსებული კანონმდებლობა იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას კანონმდებლობაში არსებული შესაძლო კორუფციული გარიგებების საშუალებები.

ინტერ-პრესი

ქართული ტანკისტები - „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ბოლო აქორდო



საწვრთნელ პოლიგონზე.

პირვალდი ბავარდიონა

საქართველოს მექანიზებული სატანკო ბატალიონიც, წინა საბის მსგავსად ექსტერიტორიული პრინციპით დაკომპლექტდა და მასში კონტრაქტის საფუძველზე საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელია გაერთიანებული. სამხედროების წვრთნის გრაფიკი ძალიან დატვირთულია – ფიზიკური ვარჯიში, ტექნიკის ექსპლუატაცია, ტანკის ტარება, სროლები, ტაქტიკური და სამართლებრივი მომზადება.

ქართულ-ამერიკული “წვრთნისა და აღჭურვის” პროგრამით მომზადდა უკვე გაიარა სამმა ქართულმა ქვედანაყოფმა, რომლებიც მალე ერთ, კერძოდ მე-11 მოტომსროლელთა ბრიგადაში გაერთიანდება. ამ ბრიგადის ფორმირება ვაზიანის ბაზაზე უკვე მიმდინარეობს. ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ განვრთნილი ქართველი სამხედროები ე.წ. “ცხელ წერტილებშიც” გამოჩნდნენ. ქართველ “კომანდოსთა” ერთი ასული ცხინვალთან ახლოს, სამშენობო ბატალიონის შემადგენლობაში, მეექვსე თვეა ასრულებს სპეცფიკურ საბრძოლო დავალებას. სულ მალე კი მე-16 სამთო-მსროლელთა ბატალიონი ერყეში გაემგზავრება, რაც თავისებურ სიახლეს წარმოადგენს.

ერთი თვის წინ, ჯავშანსატანკო ბატალიონის პრეზენტაციაზე, ამერიკის შეერიებული შტატების ელჩმა საქართველოში, რიჩარდ მაილსმა განაცხადა, რომ ქართული ჯარისა და სასაზღვრო დეპარტამენტის ცალკეული ნაწილების წვრთნას ამერიკელი სპეციალისტები შემდგომშიც გააგრძელებენ.

“წვრთნისა და აღჭურვის” პროგრამა - ეს იყო სპეციალური პროგრამა, რათა მოგვეზადებინა და აღვეჭურვათ ოთხი ბატალიონი. ასე რომ, ეს სეგმენტი მთავრდება. მაგრამ ჩვენ ვაპირებთ მუშაობა არა მხოლოდ წვრთნის და აღჭურვის მიმართულებით გაგრძელდეს, არამედ გავერთინაო საქართველოს არმიისა და სასაზღვრო უწყების სხვა ქვედანაყოფები და, პარალელურად, დავხმართო საქართველოს ხელისუფლებას სამხედრო უწყების რესტრუქტურინებაში. ასე რომ, თანამშრომლობის პროექსი შემდგომშიც გაგრძელდება,” – აცხადებს ელჩი მაილსი.

თებერვლის ბოლოსთვის ამერიკელი ინსტრუქტორები კიდევ ერთ, აშკარად ლოკისტიკის ბატალიონის განვრთნას დაიწყებენ. თუმცა, ამ საკითხზე კონსულტაციები, სავარაუდოდ, საქართველოს მხარესთან ახალი თედაცვის მინისტრის დანიშვნის შემდეგ განახლდება. მანამდე კი ქართველი ტანკისტები ინტენსიურად განაგრძობენ ვარჯიშს კრწანისის სამხედრო პოლიგონზე.

მინია დავითური

ახალი სტრატეგია ენარგბადიქსტონის

“გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის” (გსეკ) ახალი სტრატეგია აქვს. კომპანიის პრობლემებს შორის უმთავრესად – სექტორში გაფრთხილი კორუფციაა მიჩნეული, ხოლო ძირითად ამოცანად – იმ სექმების აღმოფხვრა, რომელთა საშუალებითაც დარგის კუთვნილი თანხები გაურკვეველი მიმართულებით მიედინება. დარგში მოქმევე უცხოელი მენეჯერების პოზიციას საქართველოს მთავრობასთან გსეკ–ის მმართველის კომპანია “პი-ვი კონსალტინგის” ცესპერტი, გსეკ–ის ყოფილი გენერალური დირექტორი დევიდ სირნტორნი შეაჯერეს. გსეკ–ის გენერალური დირექტორის თანამდებობას კი ამიერიდან “პი-ვი კონსალტინგის” კაცკასიის პროექტების კოორდინატორი დინ უაითი დაიცავებს.

გუშინ სასტუმრო “მარიოტში” გსეკ–მა თავისი ახალი სტრატეგია წარადგინა. როგორც ირკვევა, სადისტრიბუციო კომპანია პრობლემებთან სამეტაპიან ბრძოლას იწყებს. პირველ ეტაპზე გსეკ–ის მენეჯერებმა დარგში გაშვებულ კორუფციასთან მერკინებას გეგმავენ, რაშიც გენერალური კორპორირი და სამთავრობო სტრუქტურების მხარდაჭერის დიდი იმედი აქვთ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც კორუფციასთან ბრძოლაში გსეკ–ის ამერიკელ მმართველებს გზად ელობებათ, ე.წ. “მცირე ლიცენზიანტები”, ანუ ის პატარა კომპანიებია არიან, რომლებიც რეგიონალმ მცირე მოცულობის ქსელებს ფლობენ და საკუთარი მომხმარებლები ჰყავთ. გსეკ–ში მიიჩნევენ, რომ მათი უმეტესობა კანონდარღვევით მოქმედებს, ამიტომაც ენერგოკომპანიის მენეჯერები ამ პრაქტიკის წინააღდეგ დაგეგმილებას აპირებენ. სავარაუდოდ, მათ ამ საქმეში სემეკისა და საბითუმო ბაზრის აქტიური მხარდაჭერაც დასტურდებათ.

გარდა ამისა, კორუფციასთან ბრძოლას კომპანიას “საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი” პროექტი გაუფრთვლებს, რომელიც “ელექტროსისტემებსა” და გსეკ–ს შორის მრიცხველების დაყენებას გულისხმობს. ეს პროექტი სულ მალე დაიწყება და, როგორც გსეკ–ის ამერიკელი მენეჯერები იმედოვნებენ, მისი განხორციელება დისპეტჩერებსა და გსეკ–ის ადგილობრივ ხელმძღვანელობას შორის გარიგებებს დაკვეთს.

მეორე მიზანი, რომელიც გსეკ–მა ენერგოპრობლემებთან გლობალური ბრძოლის გზაზე დაიასახა, ელექტრომომარაგების პროგნოზირებისა და მომხმარებლის მომსახურების გაუმჯობესებაა. ანუ გსეკ–ი სისტემატურად ითანამშრომლებს ყველა იმ სუბიექტთან, ვისაც ქვეყნის ელექტრომომარაგებაზე ზრუნვა ევალება (სემეკი, საბითუმო ბაზარი, “სახელწიფო ელექტროსისტმა”) და ელექტროენერგიას მხოლოდ კარგ გადამმდელ უბნებს მიაწვდის. იმისათვის, რომ თანხების აკუმულირება მოხერხდეს, კომპანია ელექტროენერგიის საფასურის ხელზე აკრფვის მექანიზმზეც უარს იტყვის და გადახდის საბანკო სისტემაზე დანერგავს. ბუნებრივია, ეს პროცესი სოლიდურ ინვესტირებას მოითხოვს. სხვა თუ არაფერი, რეგიონებში მომხმარებელთა სიების კომპიუტერინება, საანგებუო ცენტრების შექმნა და მრიცხველების მოწესრიგება იქნება საჭირო.

გარდა ამისა, დაგეგმილია 51 რაიონული ფილიალის რაოდენობის შექმრება და ქვეყნის დასავლეთით ცენტრალური სათავო ოფისის ჩამოყალიბება. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, ფილიალებში შეიქმნება მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტები. სტრატეგია, ჯერჯერობით, 10 თვეზეა გათვლილი. ნიშანდობლივია, რომ “პი-ვი კონსალტინგს” საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული გსეკ–ის მართვის კონტრაქტი 9 თვეში უმთავრდება იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტი მთავრობამ კომპანიას არ გაუზარდობლივა, “პი-ვი კონსალტინგი” ამ სტრატეგიას გსეკ–ის მომავალ მმართველს უანდერტებს.

მაია ურუშაძე

მიხაილ ჰალკოს აქსტრადიციისათვის საჭირო მასალები ხორვატიაში გაიგზავნა

ხორვატიის ინტერპოლის მიერ დაკავებული ჩეხური ფირმა “საგა პრინტის” პრეზიდენტის მიხეილ ჰალკოს საქართველოში ექსტრადირებისათვის საჭირო მასალები საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ხორვატიის ოუსტიციოს სამინისტროს გუშინ გაუგზავნა.

საქართველოს უშიშროების სამინისტრო “საგა-პრინტის” ხელმძღვანელს ადანაშაულებს თანამდებობის ბოროტად გამოყენებას და “ჭიათურმანგანუმისათვის” 720 ათასი ლარის ზიანის მიყენებაში.

ჩეხეთის მოქალაქე მიხეილ ჰალკო ინტერპოლის თანამშრომლებმა ხორვატიაში 11 თებერვალს დააკავეს. მასზე ძებნა 2002 წლის თებერვალში გამოცხადდა – მას შემდეგ, რაც “ჭიათურმანგანუმში” ჩატარებული ფინანსური მაქინაციების გამო სისხლის სამართლის საქმე საბოტაჟის მუხლით აღიძრა.

გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსის პაატა მსხილაძის განცხადებით, გენერალურმა პროკურატურამ ჰალკოს მიმართ აღძრულ საქმეზე შეკრებილი მასალები ხორვატიაში ექსტრადისთვის გააგზავნა. საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად, დაკავებული ექსტრადიცია 40 დღის მანძილზე უნდა მოხდეს.

პაატა მსხილაძის განცხადებით, ქართველი სამართალდამცველების მიერ ჰალკოსთვის წაყენებული ბრალდება დოკუმენტურად დადასტურებულია და ხორვატიის სასამართლომ მის ექსტრადიციაზე უარი არ უნდა განაცხადოს.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი რაულ ხაგიშმა სამუშაო ვიზიტით მოსკოვში იმყოფება. სოხუმის სახელისუფლო დეპარტამენტს დაახლოებული წყაროს ცნობით, ხაგიშმა შეეცდება, გაარკვიოს, შეიცვალა თუ არა მოსკოვის დამოკიდებულება აფხაზეთის პრობლემებისადმი რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრის შემდეგ და დაადგინოს, მისაღებათ თუ არა რუსეთისთვის მისი კანდიდატურა აფხაზეთში მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე. ოფიციალური ინფორმაციით, სოხუმის ხელისუფლების პრემიერი მოსკოვში აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად ჩავიდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ყოფილი თანამშრომლების მიერ კორუფციაში ბრალდებული საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ვალერი ჩხეიძის წინააღმდეგ უშიშროების საბჭოს არანაირი პრეტენზია არ აქვს. როგორც უშიშროების საბჭოს მდივანმა ვენეზუაბაში ვილმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, მას ამ ეტაპზე ვალერი ჩხეიძესთან არაფერი აქვს გასარკვევი და პრიოტი, სულ რამდენიმე დღის წინ, ქართველი მესაზღვრეების მიერ საქართველოს საზღვაო აკავტორიზებული უცხოეიის გემების დააკავების გამო კმაყოფილი არიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პანკისის ხეობაში მცხოვრები, ჩენქეთიდან ლტოლვილები ოთხშაბათს, სამრეტსტო აქციას გეგმვენ. ადამიანის უფლებების დაცვის ჩენქეთის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის ასლანბეკ აბდურზაკოვის განცხადებით, აქცია დღლის 11 საათისათვის არის დაგეგმილი. აქციაზე ჩენქეთიდან ლტოლვილები საქართველოს დატოვების სურვილის შესახებ განაცხადებენ და მესამე ქვეყანაში გადასვლის საშუალებას მოითხოვენ, რომელსაც რუსეთთან საერთო საზღვარი არ ექნება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედი პარტია “ვირკის” ლიდერი დავით რსაკიანი არ გამორიცხავს, რომ ამ ორგანიზაციის წევრებმა, შესაძლოა, 28 მარტის ხელახალ საპარლამენტო არჩევნებში სხვა პოლიტიკური პარტიების ან ბლოკების სიებით მიიღონ მონაწილეობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე ავსტრიაში იმყოფება. “დემოკრატიული აღორძინების კავშირის” თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ჰამლეტ ჭიპაძისთვის განცხადებით, აბაშიძე ავსტრიაში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფება და შესაბამისად, ცენტრალური ხელისუფლება საქმის კურსში არ არის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. “გაერთიანებული ოპოზიცია” - ჩვენი აზრას” ერთ-ერთი ლიდერი თამაზ დიასამიძე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მრავალჯგზის მონოდეტების მიუხედავად, აჭარის ავტონომიური მეთაური ასლან აბაშიძე არ ჩამოვა თბილისში, რადგან მას დატყრის ემ

"იხიდის მთავრობის" ნდობის ნამჟომი ჩართულია

პირველი გვერდიდან

ახალი აღმასრულებელი გუნდი თავის საპროგრამო დოკუმენტში აცხადებს, რომ უახლოეს წლებში მთავრობის უპირველესი მიზანი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და საქართველოს თანამედროვე ევროპულ ქვეყნად ჩამოყალიბება იქნება. ზურაბ ჟვანია ასახელებს რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას, რომელზეც მისი გუნდი გაამახვილებს ყურადღებას. ეს ორიენტირებია: დემოკრატიისა და დემოკრატიული მმართველობის პრინციპებისადმი ერთგულება; მმართველობის სრულფასოვანი სისტემის შექმნა; ეკონომიკური განვითარების რეალური უზრუნველყოფა; სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა; ქართული საზოგადოების საბოლოო გაერთიანება...

"ჩვენ გვინდა ჩამოყალიბოთ მთავრობა, რომელიც მოსახლეობის ნდობით ისარგებლებს. მთავრობამ ფაბრიკა-ქარხნები კი არ უნდა მართოს, არამედ შექმნას პირობები კერძო ინიციატივების რეალიზებისთვის. არადა, როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, დავგვხდა ბიუროკრატიის ულრანი ტყე, სადაც ნებისმიერი კარგი წამოწყება და ინიციატივა უკვალოდ იკარგებოდა", - აღნიშნა ზურაბ ჟვანიაშ პარლამენტარების წინაშე გამოსვლაში.

ვინაიდან ცაიტნოტში შედგენილი სამთავრობო პროგრამა საკმა-



მწვავე ოპოზიციურ რეპლიკებს ზურაბ ჟვანია არანაკლებ მწვავედ პასუხობდა.

ოდ ზოგადი აღმოჩნდა და ამის გამო პრემიერ-მინისტრს ოპოზიციის მხრიდან საყვედურების მოსმენა მოუხდა, მომხსენებელი იძულებული იყო, კონკრეტულ საკითხებზე ცალკე ესაუბრა. ზურაბ ჟვანიას თქმით, მიმდინარე წლის აპრილიდან პენსიების ზრდის პროცესი დაიწყება, ხოლო ივნისში გაკეთდება

განცხადება საარსებო მინიმუმთან მიწიმაღური ხელფასის გათანაბრების ვადების შესახებ და შესაბამისი გრაფიკი გამოქვეყნდება. პრემიერის აზრით, ახალ მთავრობაში ყველაზე რთული სფერო გიგი წერეთელს ერგო. თუმცა, ჯანდაცვისა და სოც(ზრუნველყოფის და-

ციის მოუხდეავად, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე გიგი წერეთლისგან ითხოვს, რომ პირველადი სამედიცინო მომსახურება უკვე მიმდინარე წლის ბოლომდე ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი გახდეს.

პრემიერ-მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით,

მინისტრები "მრანველთა" ფრაქციაში

ლალა გვადლიძე

გუშინ პარლამენტში "მთავრობის დღე" იყო. კაბინეტის დამტკიცებამდე დეპუტატები მომავალ მინისტრებს ეცნობოდნენ. ჯანდაცვისა და იურიდიულ კომიტეტებში, თავის მხრივ, შესაბამისი პროფილის მინისტრები დაიბარეს. ფრაქციებიდან კი, ერთადერთი "მრენველთა" ფრაქცია იყო, რომელიც მომავალი მინისტრთა კაბინეტის სამოქმედო გეგმით სერიოზულად დაინტერესდა და, ამ მიზნით, სხდომაც გამართა.

პლენარულ სხდომაზე გამართულ ამ შეკრებას, სტუმრების სახით, "მემარჯვენეებისა" და "მაჟორიტარების" წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. თუმცა, ჩვენს მიერ გამოკითხული სხვადასხვა ფრაქციის წევრთა უმეტესობამ ზუსტად არც კი იცოდა, იგეგმებოდა თუ არა, კონკრეტულად, მათ ფრაქციაში მომავალი მინისტრთა კაბინეტის წევრების მოსმენა. თოფაქსთან გამართულ შეხვედრაზე აღმასრულებელი ხელისუფლების გუნდი



ეკონომიკის მინისტრის საპროგრამო გამოსვლას "მრენველთა" ფრაქციის ლიდერები ჩურჩულით განიხილავენ.

იხიდი და რეალობა

ახალი იმედები და სრული საერთაშორისო მხარდაჭერა - ეს იყო ის განწყობა, რომელმაც რევოლუციის შემდეგ დაისადგურა და რომლის შენარჩუნებასაც დაუღალავი ენთუზიაზმით და სწორად წარმართული პიარ-კამპანიით ცდილობს მიხეილ სააკაშვილი. თუმცა, ამ ყველაფრის ხელშესახები შედეგი, ჯერჯერობით, მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებებია, რომელსაც თითქმის ყველა ეწინააღმდეგებოდა თავად ხელისუფლების გარდა, რომლის გატანა მაინც მოხერხდა და რომლის საფუძველზე ახალი მინისტრთა კაბინეტი ჩამოყალიბდა. ის, რომ თითქმის ყველა მინისტრს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს თავის მომავალ საქმიანობაზე, უბატებელ ცოდვად არ აღიქმება. ახალი ხელისუფლების ნაკლის დაფარვას პრეზიდენტი ჯერ-ჯერობით ისევ წარმატებული პიარ-კამპანიით ახერხებს. რუსეთში ვიზიტიც სწორედ ამ წარმატებული "პიარის" ნაწილი იყო.

აქა კვსიტაძე	
ყინული მართლაც დადნა თუ...	
წლების განმავლობაში ფესვგადგმული მოსაზრება, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში შევარდნაძის პიროვნული ფაქტორი ძალიან ცუდ როლს ასრულებდა, თითქმის გამართლდა. მართალია, რუსული პრესა წლების განმავლობაში აჭრელეული იყო ახალგაზრდა და ექსცენტრული ქართველი პოლიტიკოსის მიმართ ნეგატიური გამოთქმებით და იმასაც წინასწარმეტყველებდა, რომ სააკაშვილს არ შესწევდა უნარი, ქართულ-რუსულ ურთიერთობებში რაიმე შეცვალა, ახალი პრეზიდენტის პირველი ვიზიტი მოსკოვში ძალზე ეფექტური აღმოჩნდა. საქართველოს პრეზიდენტმა თავისი უშუალოებით, იუმორით და გულწრფელი განცხადებებით შეძლო ის, რომ საქართველოს მიმართ აგრესიულობით გამორჩეულ რუსულ პრესაში განწყობა შეიცვალა. მოხუცი შევარდნაძისაგან განსხვავებით, ახალგაზრდა სააკაშვილმა მეტი საერთო გამოიხატა პუტი-	

საქართველოს პრეზიდენტმა ეს ნაბიჯი თითქმის უშეცდომოდ გადადგა (ზოგიერთ გადამეტებულიად სენტიმენტალიზმს თუ არ ჩათვლით, მაგალითად, პუტინთან შეხვედრამდე ეკლესიაში ლოცვის შესახებ ნათქვამ ფრაზას და ასე შემდეგ).

საკაშვილის განცხადება, რომ მისთვის ბაზების საკითხი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, რომ ამით საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მონაგმლა დაუშვას, შესაძლოა პირველი ვიზიტის დროს ტაქტიკურად გამართლებული იყო, რადგან საქართველოს პრეზიდენტი რუსეთთან თვისობრივად ახალ ურთიერთობაზე აკეთებდა აქცენტს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბაზების საკითხს საქართველო-რუსეთის ურთიერთობა მართლაც შეუძლია მონაშლოს, თუ რუსეთი სტამბულში მიღწეულ შეთანხმებას არ შეასრულებს.

ისიც საინტერესოა, როგორი უნდა იყოს ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით საქართველოს დელეგაციის პოზიცია მოლაპარაკებებში მაგისტრისად, როცა პრეზიდენტი წინასწარ აცხადებს, რომ ამ საკითხით საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გაფუჭებას არ დაუშვებს, ხოლო რუსეთის ოფიციალური პირები კი ამტკიცებენ, რომ გერმანიაში დაშვებულ მეცდლმას საქართველოში არ გაიმეორებენ. უფრო მეტიც, მიუნხენის ყოველწლიურ კონფერენციაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისიც განაცხადა, რომ რუსეთი შესაძლოა გამოვიდეს "ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების" ხელშეკრულებიდან, ისევე როგორც თავის დროზე ამერიკა გამოვიდა "რაკეტსანინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან". ეს განცხადება აშკარა მინიშნებაა იმ-

აზე, რომ მოსკოვის უხლოეს გეგმებში საქართველოდან ბაზების გაყვანა აშკარად არ შედის.

სხვათა შორის, ივანოვის ეს განცხადება ძალიან ცუდად იქნა აღქმული ვაშინგტონში. ამას ემატება თეთრი სახლის აშკარა უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთში ჩატარებულ არადემოკრატიული არჩევნებისა და "ხოდორკოვსკის საქმის" გამო. ამერიკის ხელისუფლების ეს მოსაზრება მოსკოვში ვიზიტისას მკაცრი ტონით გაახმაურა კოლინ პაუელმა, რომელიც ამერიკის თავდაცვის მდივნისაგან განსხვავებით, ხისტი პოზიციით არასოდეს გამოირჩეოდა.

ამიტომ ამ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლებას გაცილებით დიდი ბერკეტი აქვს, ვიდრე პუტინთან დამეგობრებაა - ეს საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად ვაშინგტონის კეთილგანწყობა და მხარდაჭერაა. თუმცა, ამ მხარდაჭერას, რომელსაც რევოლუციის შემდეგ ახალი და ძალიან ძლიერი მუხტი შეემატა, შენარჩუნება სჭირდება. ამისათვის კი, პირველ რიგში, შიდა პოლიტიკაში სწორად გადადგმული ნაბიჯებია საჭირო.

რევოლუციის მონაპოვარი სკილსა და ქარიზმას შორის	
საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებას რომ თავისი წინამორბედისგან უამრავი საერთო თვისება გადმოჰყავ, ამაზე ბევრი რამ მიანიშნებს, თუნდაც ყოფილი თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის ნატო-ში სპეციალურ წარმომადგენლად დანიშნვა. საქართველოს დიპლომატიურ კორპუსში წარმატებული ელჩი სულ რამდენიმე თუ	

შედარებით მეტი დრო - 16 თვეა საჭირო იმისთვის, რათა სათანადო პროგრამის რეალიზების შემდეგ, ცნება "ენერგეტიკული კრიზისი" წარსულს ჩაბარდეს. **"კიბო, რომელიც ჩვენს ენერგეტიკას სჭირს, ამ დარგში ხელოვნურად შექმნილი ქაოსია",** - ამტკიცებს ზურაბ ჟვანია.

დეპუტატების წინაშე მისი გამოსვლის შემდეგ, ზოგიერთმა ოპოზიციონერმა თავის გამოჩენა მოინდომა, მაგრამ რამდენჯერაც გამოყვეს თავი, იმდენი ნეპოტიზტი მიიღეს. **"სიამაყით სულაც არ მალევსები ხოლმე, როდესაც მახსენდება, ვინ რა გზით მოხვედით პოლიტიკაში",** - ეს რეპლიკა ჟვანიამ ზვიად მუქანიანის გამოსვლის საპასუხოდ წარმოთქვა.

თუმცა, ცალკეულ ოპონენტებს თუ არ ჩავთვლით, ოპოზიციური ფრაქციების უმეტესობამ ახალი მთავრობის მიმართ საკმაოდ კონსტრუქციული მიდგომა გამოხატა. **"ჩვენ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მივიღებთ, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენი გუნდის სახით, ქვეყნას პატრიოტები ეყოლება",** - "ახალი მემარჯვენეების" საპარლამენტო ფრაქციის სახელით აცხადებს დეპუტატი დავით საგანგღიძე.

კეთილგანწყობა იკითხებოდა ფრაქცია "ტრადიციონალისტის" ლიდრის გამოსვლაშიც. **"მართალია, მიგვაჩნია, რომ ეს მთავრობა ეფექტური ვერ იქნება, მაგრამ მაინც გისურვებთ, რომ ქვეყნის-**

თვის სასიკეთო საქმეების კეთებაში ღმერთმა ხელი მოგიმართოთ", - "დაილოცა" გუბაშ სანიკიძე. დაახლოებით, იგივე შინაარსის განცხადება გაკეთდა, აგრეთვე, "სოციალისტ" ირაკლი მინდელის მიერ.

რაც შეეხება "აღორძინებას", მან, კეთილი სურვილების გარდა, ახალ კაბინეტს, კენჭისყრის დროს, ხმებიც შეანია. ჰამლეტ ჭიაშვილს არ დაუმაღავს, რომ **"პრემიერ-მინისტრის პოსტზე აჭარის დეპუტაციისთვის ზურაბ ჟვანიას კანდიდატურა მთლიანად მალედებია, თუნდაც იმ გამჭრიახობისთვის, რომელიც მან ავტონომიურ რესპუბლიკასთან მიმართებაში გამოიჩინა".** ამასთან, თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა გამოთქვა იმედი, რომ **"ცენტრსა და რეგიონს შორის ამ მთავრობის ხელი მანაც ჩამოყალიბდება ნორმალური ურთიერთობები".**

ჰამლეტ ჭიაშვილის გარდა, ზურაბ ჟვანიას პიროვნულ ფაქტორზე გუშინ სხვა პარლამენტარებმაც გააკეთეს აქცენტი. **"წლობას უფრო თქვენ გიცხადებთ და არა კაბინეტს, რადგან ბევრ მინისტრს, უბრალოდ, არც კი ვიცნობთ",** - მიმართა კენჭისყრის წინ ზურაბ ჟვანიას ვალერი გელბახიანმა...

პიროვნულ ნდობაზე "დამწენული" გუნდური მთავრობის წდობის წამოშობი გუშინ 21 საათიდან ჩაირთო.

არასრული შემადგენლობით გამოცხადდა. მაგრამ სხდომის მონაწილეთათვის ესეც საკმარისი აღმოჩენდა, რათა მომავალი მინისტრები-სადმი "მსუბუქად კრიტიკული" კითხვები დაესვათ, ან უბრალოდ, სიმართაა გამოეთქვათ, განსაკუთრებით - "კაბიანი მინისტრებისადმი".

თითოეული მინისტრი ამ შეკრებაზე დასახული სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებზე საუბრობდა. ყველაათვის საერთო კი თავისი უწყების ფარგლებში არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესების, ევროპულთან დაახლოების სურვილი იყო; გარდა ამისა - საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ტექნიკური და სოციალური მოსწავლისას.

ლტოლვითა და განსახლების მინისტრ ეთერ ასტემიროვასთვის მთავარია "ეკოლოგიური მიგრანტების" შესახებ კანონის შემოღება; აფხაზეთიდან დევნილთა ძველ საცხოვრებელ ადგილებზე დასაბრუნებლად კონკრეტული გეგმის შე-

მუშავება. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრისთვის - არსებული ტუნებრივი რესურსების ინვენტარიზაცია და მათი რაციონალური ხარჯვა. იუსტიციის მინისტრ გიორგი პაპუაშვილისთვის - მთავრობის რესტრუქტურიზაციის გეგმის და სასამართლო რეფორმის გაგრძელება; ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრისთვის - დედაქალაქისა და რეგიონების თანაბარ ურბანულ პირობებში ჩაყენება და.ა.შ. მოხსენებებს თან მსუბუქი დისკუსიებიც ახლდა. მდგომარეობა გურამ შარაქსაც კი არ გაუმწეავებია, მიუხედავად იმისა, რომ "თურქი მესხების" საკითხთან დაკავშირებული თემატიკის თაობაზე მას ეთერ ასტემიროვასთვის კითხვის დასმა არ დაეიწყებია. "კრებიტი მხიარული" კი მაინც მთავარი "მრენველი" გოგი თოფაძე დარჩა. სხვა ფრაქციებისაგან განსხვავებით, მას მინისტრთა კაბინეტის წევრთა საპროგრამო სიტყვაც მოეწონა და, ძირითადად, საზღვარგარეთ მიღებული განათლებაც.

მთავარი თემატიკა მთავრობის მიერ დონუცაყა. მისი გამონევა მხოლოდ დავით თევზაძისთვის კომპენსაციის გადახდის მიზნით, უბრალოდ, არასერიოზულია. ეს ძალიან ჰგავს გია არსენიშვილის ელჩად დანიშვნას ავსტრიაში და როგორც მაშინ არსენიშვილის შემთხვევაში იყო, დღესაც ყველას ეზარება ეჭვი ყოფილი თავდაცვის მინისტრის დიპლომატიურ მონაწილეობაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ არის ერთადერთი მახასიათებელი, რომელიც ახალ ხელისუფლებას თავის წინამორბედთან ანათესავებს. ძველი მეთოდების ამუშავებაზე პარლამენტში ახალი კონსტიტუციის გატანაც მიუთითებს. თუმცა, ჯერჯერობით, ისევ რჩება იმედით, რომ ეს მსგავსება თვისობრივი არ არის და მხოლოდ საერთო გარეგნული ნიშნებით გამოირჩევა. ის, რომ სააკაშვილს აქვს ამბიცია, ისტორიაში ევროპის ყველაზე წარმატებულ ახალგაზრდა ლიდერად შევიდეს, ეჭვს არ იწვევს. მაგრამ რამდენად სწორ გზებს აირჩევს ის ამ მიზნის მისაღწევად? - ეს არის ის კითხვა, რომელიც დღეს ყველა ქართველს აწუხებს, რადგან ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ პრეზიდენტის წარმატებაზე თითოეული ჩვენგანის პირადი წარმატებაა დამოკიდებული.

რევოლუციის შემდეგ მოპოვებულ 96 პროცენტს ბევრი უარყოფითი მხარე აქვს. შეიძლება ითქვას, რომ დღეს პოლიტიკური სპექტრი ისევ ერთსახოვანია, როგორც არასდროს. ოპოზიციის არარსებობა ქვეყანაში ხელისუფლებისთვის აბსოლუტურად არაკონკურენტუნარიან გარემოს ქმნის. ის ოპოზიცია, რომელიც პოლიტიკურ ლანდშაფტს შემოირიბა, მორალურად იმდენად მარგინალური და გაცვეთი-

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის სატრანსფერტო ანგარიშზე 2004 წლის იანვრის თვეში შემოსული და გასული ფინანსური ნაჰადის მონაცემები

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის (სეს-ის) სატრანსფერტო ანგარიშზე იანვრის თვის განმავლობაში ელექტროენერგიის მყიდველების მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის საფასურის სახით გადმო-რიცხულია 4 796 536 მილიონი ლარი, რაც სეს-იდან რეალიზებული ელექტროენერგიის საფასურის მხოლოდ 23,3%-ია. პირდაპირმა მოხმარებლებმა შესყიდული ელექტროენერგიის 81,4%, 3 866 713 მილიონი ლარი გა-დაიხადეს. სამწუხაროდ, კვლავ საკმაოდ დაბალი რჩება გამანაწილებელი ენერგოკომპანიებიდან (თელასის გა-რდა) ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მაჩვენებელი, მათ მიერ ელექტროენერგიის საფასურის სახით გადმორიცხულია 929 824 ლარი, რაც შესყიდული ელ.ენერგიის ღირებულების მხოლოდ 6%-ია. სეს-ს იმედი

აქვს, რომ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიერ თანხების ამოღებისა და მართველობის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები კონკრეტულ შედეგს გამოიღებს, რაც ენერგობაზრის სა-ტრანსფერტო ანგარიშზე მოხმარებული ელ.ენერგიის საფასურის გადახდის გაზრდაში გამოიხატება. სეს-მა სატრანსფერტო ანგარიშზე შემოსული ფინანსები გენერაციასა და მომსახურე ორგანიზაციებს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული მოდელის მიხედვით გაუნაწილა. იანვრის თვეში მათ 2 313 993 მილიონი ლარი მიიღეს, დარჩენილი სხვაობა 2 482 543 მილიონი ლარი კი თებერვლის პირველ ნახევარში გა-დაერიცხათ.

გამომჟღავნებულ ელენერგიაზე ღარიცხული და გაღახდილი თანხები (ლარი)

იანვარი 2004

	დასახელება	მომხმარებელი წლის წინაგადახდა	წინასწარი გადახდა	წინა თვის დარიცხვა		წელათი საკუთარი გადახდების დარიცხვებისათვის, ელენერგიაზე, სეს-ისათვის, წინასწარი გადახდის გამოცხადებისათვის					გადახდების დარიცხვა საკუთარი				დარიცხვის კორექტირება		გადახდის კორექტირება		მომხმარებელი წლის წინაგადახდა	წინასწარი გადახდა ანგარიშის მიხედვით
				აგვის	დარიცხვები	მომხმარებელი ანგარიშის	წინასწარი გადახდის გამოცხადების	წელათი გადახდის %	მომხმარებელი წლის წინაგადახდა	წინა წელის	წინასწარი გადახდა	მომხმარებელი წლის წინაგადახდა	წინა წელის	წინასწარი გადახდა	მომხმარებელი წლის წინაგადახდა	წინა წელის	მომხმარებელი წლის წინაგადახდა	წინა წელის		
211	ენერგია	-	-	289,253,875	6,892,129	527,000	-	8%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	6,355,129	-
212	გადახდა	-	-	25,182,874	353,568	50,000	-	14%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	353,568	-
201	გადახდა	-	-	43,511,311	652,870	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	1,585,268	-	-	652,870	-
225	მომხმარებელი	-	-	19,355,189	348,393	3,000	-	1%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	348,393	-
204	მომხმარებელი	-	-	22,965,542	413,380	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	413,380	-
207	მომხმარებელი	-	-	10,853,300	205,779	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	205,779	-
200	გადახდა	-	-	11,778,878	211,866	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	211,866	-
203	გადახდა	-	-	19,858,720	357,457	2,500	-	1%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	357,457	-
221	სეს-ის	-	-	1,817,898	50,626	9,265	-	18%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	50,626	-
213	გადახდა	-	-	2,590,909	96,896	29,623	-	53%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	96,896	-
406	მომხმარებელი	-	-	2,052,000	73,872	6,299	-	8%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	73,872	-
205	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
235	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
231	მომხმარებელი	-	-	3,390	161	161	-	100%	-	-	6,783	-	-	-	-	-	-	-	-	-
243	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
412	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	-	-	-	-	-	0%	-	-	12,924	-	-	-	-	-	-	-	-	-
229	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	729	-	-	-	-	-	-	-	-	-
198	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
199	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	2,414	-	-	-	-	-	-	-	-	-
222	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
208	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	4,700	-	-	-	-
242	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
206	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
202	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
218	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
236	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
220	მომხმარებელი	-	-	625,722	17,495	15,866	-	91%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	15,866	-
234	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	10,261	-	-	-	-	-	-	-	-	-
421	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
422	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	-	1,180,803	33,331	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	33,331	-
427	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
245	მომხმარებელი	-	-	87,731,734	7,623,076	520,000	-	7%	-	-	-	-	-	-	-	194,105	-	-	7,103,076	-
214	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
215	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
424	მომხმარებელი	-	-	-	33,476	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	33,476	-
425	მომხმარებელი	-	-	-	541	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	541	-
425	მომხმარებელი	-	-	-	38,563	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	38,563	-
328	მომხმარებელი	-	-	7,694,010	100,000	-	-	1%	-	-	-	-	-	-	-	3,736	-	-	7,694,010	-
246	მომხმარებელი	-	-	1,392,687	232,479	-	-	17%	-	-	-	-	-	-	-	791	-	-	1,160,208	-
185	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	-	(997,501)	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	4,999	-	-	-	(997,501)
190	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	-	(82,897)	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	(82,897)
189	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
403	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
410	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
417	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
418	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
206	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
325	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	-	-	-	-	-	0%	-	-	5,176	-	-	-	-	-	-	-	-	-
401	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
405	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
406	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	-	-	-	-	-	0%	-	-	335	-	-	-	-	-	-	-	-	-
407	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	-	-	-	-	-	0%	-	-	3,831	-	-	-	-	-	-	-	-	-
411	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
412	მომხმარებელი	-	-	(8,137)	6,278	(2,859)	9,137	-46%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
336	მომხმარებელი	-	-	(3,528,000)	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	(3,528,000)
414	მომხმარებელი	-	-	(1,500,000)	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	(1,500,000)
178	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	-	(9,933,294)	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	(9,933,294)
420	მომხმარებელი	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
423	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	-	-	-	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
655	მომხმარებელი	-	-	-	778,068	778,068	-	100%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ	-	-	(16,050,830)	528,761,015	27,214,821	2,271,731	9,137	8%	-	-	42,263	-	-	-	-	1,365,202	-	-	24,932,754	(16,341,693)

მომხმარებელ ელენერგიაზე ღარიცხული და გაღახდილი თანხები (ლარი)

იანვარი 2004

მომხმარებელი წლის წინაგადახდა	წინასწარი გადახდა	წინასწარი გადახდა	წინა თვის დარიცხვა		წელათი საკუთარი გადახდების დარიცხვებისათვის, ელენერგიაზე, სეს-ისათვის, წინასწარი გადახდის გამოცხადებისათვის						გადახდების დარიცხვა საკუთარი			დარიცხვის კორექტირება		მომხმარებელი წლის წინაგადახდა	წინასწარი გადახდა ანგარიშის მიხედვით	
			აგვის	დარიცხვები	მომხმარებელი ანგარიშის	წინასწარი გადახდის გამოცხადების	წელათი გადახდის %	მომხმარებელი წლის წინაგადახდა	წინა წელის	წინასწარი გადახდა	მომხმარებელი წლის წინაგადახდა	წინა წელის	წინასწარი გადახდა					
335	მომხმარებელი	-	87,800	2,593	2,161	-	83%	-	-	-	-	-	-	-	-	432	-	
22	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	1,331,844	27,118	20,000	-	74%	-	-	-	-	-	-	-	-	7,118	-	
184	მომხმარებელი	-	129,558,000	6,058,650	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	6,058,650	-	
281	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	32,737,147	1,389,955	225,478	-	16%	-	-	-	-	-	-	-	-	1,144,477	-	
171	მომხმარებელი	-	1,545,104	37,764	-	-	0%	-	-	-	-	-	-	-	-	37,764	-	
344	მომხმარებელი XXI	-	219,240	11,778	5,500	-	47%	-	-	-	-	-	-	-	-	6,278	-	
295	მომხმარებელი	(21,073)	344,840	18,526	-	18,526	100%	-	-	-	-	-	-	-	-	-	(2,546)	
326	მომხმარებელი	-	69,600	2,670	1,900	-	71%	-	-	-	-	-	-	-	-	770	-	
330	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	152,373,089	8,032,327	300,001	-	4%	-	-	-	-	-	-	-	-	7,732,326	-	
334	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	176,300	5,840	5,400	-	79%	-	-	-	-	-	-	-	-	5,440	-	
317	მომხმარებელი	-	198,180	7,893	5,573	-	73%	-	-	-	-	-	-	-	-	2,030	-	
283	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	6,543,910	320,817	80,000	-	19%	-	-	-	-	-	-	-	-	280,817	-	
132	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	151,800	8,155	8,155	-	100%	-	1,662	-	-	-	-	-	-	-	-	
340	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	782,180	30,007	28,568	-	95%	-	-	-	-	-	-	-	-	1,439	-	
314	მომხმარებელი	-	58,000	2,225	2,225	-	100%	-	-	-	-	-	-	-	-	0	-	
319	მომხმარებელი	-	235,600	13,732	12,660	-	82%	-	-	-	-	-	-	-	-	1,072	-	
24	მომხმარებელი (მომხმარებელი)	-	300,570	11,531	5,055	-	44%	-	-	-	-	-	-	-	-	6,476	-	
159	მომხმარებელი	-	1,373,608	52,697	52,000	-	99%	-	-	-	-	-	-	-	-	697	-	
338	მომხმარებელი	(2)	529,500	12,562	12,562	-	100%	-	-	-	0	-	-	-	-	-	(3)	

სკაილი

ქალაქური ჰანგები



ლაშა გულადი

ქალაქელი ძიაკაციები ძველ დროებას მისტირიან და სიამაყით ჰყვებიან თავიანთი წარსულის შესახებ...
თუმცა, საამაყო, მგონი, ბევრი არაფერი აქვთ. აი, ერთ-ერთი ასეთი ძიაკაცის ნაამბობი:

ჩემ დროს სხვანაირი თბილისი იყო – ლამაზი, ნაღდი, კოხტა... გიჟდებოდნენ რუსები! დილიდან საღამომდე ზემელზე ვიდევით – ახალგაზრდები, ლამაზები, ნაღდები... ვანგლობდით, საქმეებს ვარჩევდით, ქალებს მაგარ პატივს ვცემდით, ტო... ერთი ძველი ბიჭი იყო, კუსა, – ეხლა მაგის ბიუსტს ვდგამი ზემელზე, ბიჭებმა ფული დაედით – ტრამვაიში ადიოდა და ფეხის თითებით ქურდობდა, ხელებს არ ხმარობდა... მერე გამოთვლით ცენტრში დაიწყო მუშაობა, პროფესორი გახდა...

ლამაზი გოგოები გვყავდა!.. აი, მუხლები – კაკლებით!.. დღეს რო ყველაფერი გადმოყრილი აქვთ, მაშინ სად იყო ეგრე, ცოლი რო ცოლია, ქმართან ისიც არ იხდიდა ბოლომდე... იმიტო რო ნამუსი იყო, იმიტო რო ადამიანი იყო და მამა-პაპა იყო...

ულამაზესი გოგო – მაყვალა ფანცულაია – რუსთაველზე რო გაივიდოდა, ბიჭები უკან მივდევდით, ტო!.. მერე ოთარას გაყვა ცოლად და სამი ბიჭიც გაუგორა... ვენაცავალ მაგათ!.. მერე წამალში გაიპარა სამივე – ღმერთი თუ არი, ეგები უნდა აცხონოს, აბა ვინ!..

კი დრო იყო, რა!.. საათობით ვიდევით ნავთის რიგში... ეხლა სადღა ნავთის რიგები!.. ერთი კაი, ნაღდ გემრილ ნავთის რიგს ვერ ნახავ ვერსად!..

სასტუმრო რო იყო, რუსთაველზე... რა იყო, ეხლაც არი!.. ოლონდ, ეხლა სხვანაირია... მოკლედ, იქ რესტორანიც იყო, რა... რო შევიდოდით, ხუთი დღე არ გამოვიდოდით იქიდან... რა დამაინყებს იმ ლამაზ, ჭუჭყიან ყვითელ ფარდებს, სუპში ბუზებს და ოფიციალტ მაროს!.. ვენაცავალ, ჯიგარი იყო!.. ნი-სიაც იცოდა და საქმეც იცოდა... მოვიდოდა, მეკვეთას აიღებდა და ერთი კაი სადღეგრძელოსაც დაგვიღევდა... ეხლა, რა დასამალია და, თუ საჭირო იყო, მოცემაც იცოდა... მთელი ქალაქი მაგასთან დადიოდა!.. სადღა არიან ეხლა ეგეთი ქალები!.. ეხლა ყველას თავისი ყავს!.. ზრდილობას, ბიჭები, მაროსთან ვსწავლობდით... უფროსი იყო ჩვენზე, – ასე, ათი-თხუთმეტი წლით... შეიძლება, მეტიც!.. რამე ხო არ გჭირდება, მარო?!.. დახმარება, პაი-ჰუი?!.. იყო ეს კაცობა!.. ნაღდად იყო!.. ეხლა მოკვდა. აღარ არის!.. იმ დღეს, ბიჭები ენაზე პანაშვიდზე – ვისი პანაშვიდი იყო, აღარც მახსოვს, დღემი ხუთ პანაშვიდზე ვასწრებ მისვლას, – ფული დავდით, მაროს ბიუსტი დავუდგათო... მენყი-ნა, ერთი მაგის ბოზი დედაც-მეთქი, მართლაც ეგრე კი არ არი-თქო საქმე... კაი ქალი კი იყო, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა ერქვას!.. ჩემი ზ-რი ასეთია. მორჩა და გათავდა.

ერთადერთი ფოტოატელიც გვექონდა ქალაქში... ქუჩაში ერთი-ორი მანქანა თუ დადიოდა... სპორტის სასახლესთან მგლები ყმოდნენ, კაციშვილი არ ცხოვრობდა... ლამაზი ცხოვრება გვექონდა – დამტკობილი ნასკები გვეცვა... რო დავერეოდით ხოლმე, ხანდახან, ერთმანეთს სოლოლაკი და პლხანოვი – ცემა-ტყეპა მაშინ იყო, თუ იყო!.. იმ ხალხს, ვისაც დანა ეოდ ჯიბებში, მტკვარში ყვრიდით, იმიტო რო დანა დანა და მუშტი მუშტია!..

სამი კერძი მყავდა და ეხლაც მყავს – დიდი დავითი, დღაჩემი და სტალინი!.. ჩემი თავი ენაცვალს მაგათ!.. გალაკტონი სუ ფეხებში მებლანდებოდა... ძალიან გვიყვარდა!.. ლერკომბინატიდან რო ხტებოდა, იქ ვიყავი, მაგრამ ვერ გაეანერე, მომერიდა... მე ვინა ვარ, რო გადავაფიქრებინო!.. მერე ჩემი ხელით ავასვენე მთაწმინდაზე... ვიყავით, რა!.. კაი, ლამაზი, გემრიელი ლორებივით!.. ჩემი ცოლიც მაგრა ვაგასუქე – წყალკანაში წააღირობდი მაშინ – მივაყარე კარაკული, ნორკეული... მერე გოგოებიც წამოიზარდნენ... ცალკე ამათი ამბავი!.. ჩვენი არ იყო მთელი გეჰეი?!

ეჰ, სადღა ის ძველი და უბრალო პანანა თბილისი!.. სადღა არიან ის ვაჟკაცი, მშვიერი ბიჭები!.. ეხლა ფულიც გვაქ და დიდი ჩათლახებიც გახლავართ, ეს ბებერი ხალხი და დღე და ღამე კაზინოში ვსხედით და გული გვგვდება, რო ახალგაზრდები ცუდად იქცევიან... შეილებო, ნუ იჩხერთ, თბილისს მოუარეთ, რა!

მოკლად

კომენტარი სტრუქტურულ გადაწყვეტილებაზე

ძველთა დაცვის დეპარტამენტში უარყოფითად არ აფასებენ ამ უწყების კულტურის სამინისტროსთან შერწყმას. “მოხდება თუ არა ძველთა დაცვის დეპარტამენტის შერწყმა კულტურის სამინისტროსთან, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს – ამბობს ძველთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახა ტრაპაიძე, – ძველთა დაცვის დეპარტამენტი კულტურის სამინისტროს შემადგენელი ნაწილი იყო. დეპარტამენტისთვის სასურველია კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი მართვის სისტემა შეიქმნას და მისი მართვის სწორი ფორმა ჩამოყალიბდეს”.

მისი თქმით, ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ რეფორმას გაატარებს ახალი კულტურის მინისტრი.

ინტერ-პრესი

თეთრი რკვი და შავი „ბითლზი“

ფირმა EMI კატეგორიულად მოითხოვს აიკრძალოს “ბითლზის” “თეთრი ალბომისა” და რეპერის – ჯეი-ზის “შავი ალბომის” მასალისგან შექმნილი მუსიკა, რომელიც კომპაქტ-დისკის სახით ვრცელდება. კომპოზიციის სახელწოდებაა “ნაც-რისფერი ალბომი”.

დი-ჯეი დენჯერ მაუსმა ნამუშევრისთვის გამოიყენა ჯეი-ზის ხმა, ხოლო ინსტუმენტული ფონი “თეთრი ალბომისგან” დაადო. EMI-მ, როგორც “ბითლზების” ჩანაწერების გამოცემაზე უფლებამოსილმა ფირმამ, მოუწოდა დი-ჯეი მაუსსა და მალაიბებს, ამოიღონ დისკი გაყიდვიდან.

ეს დისკები როგორც ამბობენ, ჯერჯერობით, ჰიპ-ჰოპის მოყვარულთა ვინრო წრეში რცელდება და როგორც ჩანს, ისინი ნამდვილ მონსქემა რარიტეტებდ იქცევიან. “ისინი არ აპირებენ გაყიდონ და გამოსცენ ეს დისკები”, – ამბობს დი-ჯეი მაუსის წარმომადგენელი.

როდესაც ალბომი ბაზარზე გამოჩნდა, დი-ჯეი მაუსმა განაცხადა, რომ “ნაც-რისფერი ალბომში” მთელი მუსიკა “ბითლზის” ლეგენდარული დისკითაა გაჟღერითი. EMI-ს არ აკმაყოფილებს მუსიკოსის ასეთი ახსნა-განმარტებანი. ფირმის ხელმძღვანელობამ სარჩელი შეიტანა საავტორო უფლებების დარღვევისათვის.

ფეხბურთი

"ლოკომოტივი" ნულიდან იწყებს

რისი იმედი აქვს ლევან ყიფიანს?

საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა ფეხბურთშიც პოვა ასახვა. თბილისის "ლოკომოტივი" უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული კლუბია. მაგრამ ისე მოხდა, რომ ამ კლუბის უშუალო პატრონი, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე დააპატიმრეს. რკინიგზაში ახალი ხელმძღვანელობა მივიდა და ამჟამად იქ ვარდამავალი ეტაპია.

რა ბედი ეწევა "ლოკომოტივს"? ანტერესებს კი ახალ ხელმძღვანელობას კლუბის მომავალი? "ლოკომოტივს", მართლაც, მძიმე დრო დაუდგა, ფაქტობრივად, ყველაფერი ნულიდან იწყება. მიუხედავად ამისა, გუნდის ყოფილი უფროსი ლევან ყიფიანი, რომელიც, სავარაუდოდ, "ლოკომოტივის" გენერალური დირექტორის პოსტს დაიკავებს, ოპტიმისტურად არის განწყობილი.

აპა ტონია

- აკაკი ჩხაიძე დააპატიმრეს. რკინიგზაში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა. რა ბედი ეწევა "ლოკომოტივს"?
- სასიხარულოა, რომ ახალი ხელმძღვანელობა რკინიგზის სათავეში მოსვლისთანავე შეგვხვდა ჩვენ, "ლოკომოტივის" ნარმოადგენლებს. შეხვედრაზე ნათლად გამოიკვეთა, რომ ახალ ხელმძღვანელობას საფეხბურთო კლუბის შესარჩუნება სურს. ასე რომ, "ლოკომოტივი" კვლავაც იარსებებს და განვითარდება. თუმცა, ამისთვის თავდაუზოგავი შრომა იქნება საჭირო. კლუბში აქამდე, მართლაც, ბევრი რამ გაკეთდა. "ლოკომოტივი" ქართული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთ ლიდერად იქცა, აშენდა სტადიონი, მაგრამ საორგანიზაციო საკითხებში გუნდი აშკარად მოიკოჭლებოდა. ჩვენი უპირველესი ამოცანა-აღ სწორედ ეს იქნება. გუნდი ბევრად უფრო მოქნილ ორგანიზაციად უნდა გაქციათ. სწორედ ფეფქტური საორგანიზაციო სისტემა მოგვცემს კარგი ფეხბურთელების, კარგი მწვრთნელების, ძლიერი ინვესტორების მოზიდვის საშუალებას. მოგვხსენებათ, ფეხბურთი დიდი ბიზნესია, ჩვენ სწორედ საფეხბურთო ბიზნესის პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. არადა, საქართველოში ამ პრინციპების დეფიციტია. ჩვენთან მხოლოდ ორი კლუბია, რომლებიც, ასე თუ ისე, ხელს უწყობენ საფეხბურთო ბიზნესის განვითარებას - "ვიტ ჯორჯია" და "დინამო" თბილისი. რკინიგზის ხელმძღვანელობასთან, გენერალურ დირექტორ ლევან ვარშალომიძესთან და კორპორაციულ დირექტორ ლაშა გოცირიძესთან ჩვენი შეხვედრისას სწორედ ამ თემებს შევეხეთ. მთელი არ ხნის განმავლობაში რკინიგზის ხელმძღვანელობასთან ინტენსიური კონსულტაციები გვქონდა. კიდევ ერთხელ გამოვხატე ჩემს კმაყოფილებას იმ ფაქტით, რომ რკინიგზის სათავეში მოსულ ადამიანებს "ლოკომოტივის" მომავალი აუღვებთ.

- რა მდგომარეობაა ამჟამად გუნდში?
- "ლოკომოტივი" გარდამავალ ეტაპზეა, კლუბში რეორგანიზაცია მიმდინარეობს. ასეთ ვითარებაში ბევრს გაურკვევლობის შეგრძნება ეუფლება. კლუბში არსებული ვითარება, პირველ რიგში, ფეხბურთელებსა და მწვრთნელებზე მოქმედებს უარყოფითად. სწორედ ამ-

ის გამო "ლოკომოტივი" რამდენიმე ნაშევანმა ფეხბურთელმა დატოვა. ნაფიუნენ სირაძე, სიჭინავა, უგრეხლიძე, ქიქიაშვილი. უახლოეს ხანებში, ალბათ, ორბელაძე და სალუქვაძეც მიატოვებენ გუნდს. ნაჟიდა მთავარი მწვრთნელი ლუიშ ცაკარიასი, მანამდე კი - გიორგი ლომაია... თუმცა, როგორც უკვე გითხარი, რკინიგზის ხელმძღვანელობასთან მჭიდრო, ყოველდღიური ურთიერთობა გვაქვს. ეს თანამშრომლობა სწორედ იმისკენ არის მიმართული, რომ რეორგანიზაცია- ამ უმტკივნეულოდ ჩაიაროს და გუნდს ხელი არ შეეშალოს.

- როგორ უნდა გაიტანოს თავი გუნდმა, რომელსაც წამყვანი ფეხბურთელები ტოვებენ და რომელსაც ხელფასების გაცემა უჭირს? როგორია თქვენი ვეგები?
- ამჟამად, მართლაც, არასახარბიელო სიტუაციაა, თუმცა, კლუბში არსებობს დამატებითი რესურსები, რომლებიც ამ რთულ ეტაპზე თავის გატანის საშუალებას მოგვცემენ. არ გამოვრიცხავ, რომ უკვე ჩამოთვლილ ფეხბურთელებთან ერთად, "ლოკომოტივს" კიდევ რამდენიმე მოთამაშე დატოვებს. მათ ნაცვლად მიღებული თანხა კრიზისის დაძლევაში დაგვეხმარება. გუნდი გაახალგაზრდავების პროცესშია, ბევრი ახალი მოთამაშის დამატება მოგვინევს. მთავარი მწვრთნელის პოსტზე ზაურ სანაძე დავინიშნეთ. ვფიქრობ, მას წარდგენა არ სჭირდება.

- გამოდის, რომ გუნდის ახლიდან აშენება გინვეთ. აქვს კი რკინიგზას საამისო ფინანსები?

- მართალია, ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ. საბედნიეროდ, მიმდინარე სეზონში "ლოკომოტივი" უკვე მოხვდა საქართველოს ჩემპიონატის ზედა ექვსეულში და, აქედან გამომდინარე, უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საშიშროება აღარ გვემუქრება. წლევეანდელ სეზონში დარჩენილ ექვს თვეს სწორედ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებისთვის, სტრუქტურული რეორგანიზაციისა და შემადგენლობის ჩამოყალიბებისთვის გამოვიყენებთ. მომავალი სეზონიდან კი გუნდის მომავალი განვითარების საქმეს შევეუდგებით. საფეხბურთო კლუბი ექვს თვეში ან ერთ წელიწადში არ ყალიბდება. იმისთვის, რომ რაღაც პერსპექტივა დავინახოთ, გუნდს 2-3 წელი მაინც სჭირდება. "ლოკომოტივის" განვითარების პროგრამა სამ ეტაპად დავყავით. პირველი ექვსი თვე გარდამავალი ეტაპი იქნება და ის საორგანიზაციო საკითხების გამართვას მოხმარდება. თქვენ გაირჩევნებთ, შეუძლია თუ არა რკინიგზას გუნდის შენახვა. ჩვენ არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული მხოლოდ რკინიგზაზე ან კონკრეტული პროფესიების დახმარებაზე. ჩვენი საქმიანობა ისე უნდა წარგებართო, ისეთი გამართული სისტემა უნდა შევქმნათ, რომ კლუბმა ინვესტირება და სპონსორები დააინტერესოს. ტყუილად ფულს არავინ გაატებს. ინვესტირებს უნდა დავანახოთ. იმედი გვაქვს, რომ კლუბი კარგად არის ორგანიზებული და რომ ეს, მართლაც, საფეხბურთო კლუბია. ჩვენ მათ ფეხბურთი უნდა შევთავაზოთ. ამის შემდეგ, ჩვენი პროგრამის მეხამე ეტაპზე, უკვე კლუბის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე შევეცდება ფიქრი. "ლოკომოტივი" დიდი ტრადიციების გუნდია, პოპულარობით ის "დინამოსაც" კი არ ჩამოუვარდებოდა. ამ კლუბში მიხეილ მესხი, ნოდარ ახალკაცი მოღვაწეობდნენ. მხოლოდ რკინიგზის თანამშრომლების სახით ჩვენ გულმემატიკიერების 20-ათასკაციანი ორგანიზმი გვიჭერს მხარს. რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ფეხბურთი ქვეყნის პრიორიტეტული დარგი იქნება და რომ ის პირად კონტროლზე აიყვანს ამ სფეროს. პრეზიდენტის ეს განცხადება, ცხადია, დიდ იმედს გვაძლევს. არ მინდა, სპო-

რტის სხვა სახეობების მნიშვნელობა დავაკნინო, მაგრამ ფეხბურთის მაინც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ყველაზე შემოსავლიანი სახეობაა.

- მალე განახლდება საქართველოს ჩემპიონატი. როგორ ემზადება "ლოკომოტივი"?
- ჯერჯერობით, ძირითადად, კაბინეტში, ფორმალურ საკითხებზე გვინევს მუშაობა. პარალელურად ინტენსიურად ვმუშაობთ ახალი ფეხბურთელების დასამატებლად. ვგეგმავდით შეკრებას, თუმცა, გარკვეული პრობლემების გამო ვერ მოხერხდა. თუნდაც იმიტომ, რომ თურქეთში დიდი თოვლი მოვიდა. შეკრებაზე გამგზავრებას მაინც ვაპირებთ, გვინდა, რომ ფეხბურთელები წმინდა სპორტულ რეჟიმს დაუბრუნდნენ. ვატარებთ ტესტ-მატჩებს სხვადასხვა ქართულ კლუბთან და ვიმარჯვებთ კიდევ. იგრძნობა, რომ გუნდში მაინც არის პოტენციალი. უნდა მივხედოთ სტადიონის ინფრასტრუქტურას. აქ იურიდიული დარღვევებიც არის, თუმცა, ამ საკითხის მოგვარება შეიძლება. უკვე მივმართე რკინიგზის ხელმძღვანელობას, რომ "ლოკომოტივის" სტადიონს ოფიციალურად დაერქვას მიხეილ მესხის სახელი. როდესაც ეს სტადიონი აშენდა, ითქვამს, რომ ის მესხის სახელობის იქნებოდა, თუმცა, ამის დამატატურებელი აბრაც კი არ არსებობს... უნდა მოვავაგროთ მატჩზე დასაწრები ბილეთების კონტროლის მექანიზმები. ფეხბურთის



ლევან ყიფიანი

ბიზროვაცი - 99%

ნემსაძე ფარ-ხმალს არ ყრის

მიხაილ აბაიშვილი

დღეს საქართველოს ნაკრები 2004 წელს თავის პირველ ოფიციალურ მატჩს გამართავს. მისი მეტოქე რუმინეთის ეროვნული გუნდი იქნება. შეხვედრა კვიპროსის დედაქალაქ იმმასოლში თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება. თუ სამოთხ ფეხბურთელს არ ჩავთვლით, საქართველოს ნაკრებს, პრაქტიკულად, დუბლშემადგენლობით მოუწევს დაპირისპირება. სხვადასხვა მიზეზთა გამო კვიპროსზე ვერ (ან არ) ჩავიდნენ ლომაია, კალაძე, ხიზანიშვილი, ხიზანიშვილი, ბურდული, ჯამარაული, სირაძე, დემეტრაძე, მთია არველაძე, ალექსიძე, აშვეთია, ასათიანი. რაც მთავარია, ნაკრებს ისევ არ ჰყავს მთავარი მწვრთნელი. ასეთ პირობებში, იმის თქმა, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი კვიპროსის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობით მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის სერიოზულ სამზადისს იწყებს, ცოტა გადაჭარბებული იქნება.

"24 საათი" გუშინ ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს ნაკრების კაპიტანს, გიორგი ნემსაძეს და ეროვნულ გუნდში განვითარებულ თუ მოსალოდნელ მოვლენებზე კომენტარი სთხოვა.

- ქართული საფეხბურთო საზოგადოებრიობის მთავარი კითხვა ნაკრების მწვრთნელს უკავშირდება. დანიშნა თუ არა ბიშოპი?

- ეს საკითხი 99 პროცენტით გადაწყვეტილია. როგორც ვიცო, მერაბ ყორდანიამ და ანატოლი ბიშოვეცმა თითქმის ყველა საკითხზე მოილაპარაკეს და პრინციპულ შეთანხმებასაც მიაღწიეს. ასე რომ, თუ სასწაული არ მოხდა, მომდევნო შესარჩევი ციკლში ნაკრებს ბიშოვეცი უხელმძღვანელებს.

- ხალინდელ მატჩზე ნაკრებს უკვე ბიშოვეცი უხელმძღვანელებს?
- ვფიქრობ, იგი ჯერ არ ჩაუდგება ნაკრებს სათავეში. ყოველ შემთხვევაში, ეს კვიპროსზე არ მოხდება. თუმცა, ბიშოვეცი აქედან გამგზავრებას ჯერ არ აპირებს. იგი ჩვენს ორ მატჩს დაესწრება, ოღონდ ტრიბუნიდან გვადევნებს თვალს.

- როგორც ეროვნული გუნდის კაპიტანი, ბიშოვეცის დანიშნვას რა კომენტარს გაუკეთებ?
- მე ბიშოვეცის ხელმძღვანელობით არ მითამაშია და ამიტომ მის კვალიფიკაციაზე ვერაფერს ვიტყვი. გარდა ამისა, ბოლო დროს მას ასე თუ ისე სერიოზულ გუნდში არ უშუშავია. ასე რომ, ჩემი მხრიდან რაიმე სახის კომენტარი არაკორექტული იქნება. თუმცა, ის ფაქტი, რომ მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ცოტას არ ნიშნავს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ბიშოვეცს ნდობას უტახდებს და, ალბათ, იცის, რასაც აკეთებს.

- რუმინეთის ნაკრები იმავე სასტუმროში ცხოვრობს, რომელშიც თქვენ. საბრძოლო შემა-



ნემსაძე ოპტიმისტურად არის განწყობილი

ფედერაციასთან ვანარმოებთ კონსულტაციებს, რათა სტადიონის შესასვლელში დაიდგას სპეციალური ავტომატები, რომელთა საშუალებით თითოეული ბილეთი აღირიცხება. ამ პრობლემის მოგვარება მართკომოტივის" კი არა, საქართველოს ნაკრებისა და ფედერაციის ინტერესებშიც შედის, რადგან ჩვენი ნაკრები სწორედ "ლოკომოტივის" სტადიონზე ატარებს საშინაო მატჩებს. ჩვენი სტადიონით სარგებლობის სურვილი გამოთქვა თბილისის "დინამომაც". პრობლემა ის არის, რომ "ლოკომოტივის" სტადიონზე თამაშით ბევრი გუნდი დაინტერესებული, თუმცა, ამავდროულად, ეს დამატებითი შემოსავლის წყაროც არის.

- ახალი ფეხბურთელების საწვლად თანხის გაღების საშუალება ახლა ამაღვილად არ გექნებათ. ვინ იქნებიან ის ფეხბურთელები, ვისაც "ლოკომოტივი" დაიმატებს?
- ფეხბურთელები, რომელთაც უახლოეს მომავალში დავიმატებთ, ძირითადად, თავისუფალი აგენტების იქნებიან, რომელთაც არც ერთ კლუბთან კონტრაქტი არ აკავშირებს. ჯერჯერობით კლუბში არც ერთი ახალი ფეხბურთელი არ ჩაირიცხვლა, თუმცა, მოთამაშეთა გასინჯვა ყოველდღიურად მიმდინარეობს და ახალი სახეებიც მალე გამოჩნდებიან. არ გვინდა, რომ ვინმე იჯარით ავიყვანოთ. ამ პრაქტიკამ რეზო არეველაძის მწვრთნელობის დროს არ გაამართლა. იჯარით აყვანილი ფეხბურთელები არ გამოვადგენ. ამიტომ არ გვინდა, შევდომებთ ვაიმეიორთ.

- "ლოკომოტივის" განახლებული, გაახალგაზრდაებული და ნაწილობრივ გამოუცდელი შემადგენლობით მოუწევს თამაში. მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებ?
- არა მგონია. მართალია, ახლა გარკვეული პრობლემები გვაქვს, მაგრამ ეს ხელს არ შეგვიშლის იმაში, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილი შევიწარმოოთ. სულ მალე "ლოკომოტივის" მიზანი კვლავ უმაღლესი ადგილებისთვის ბრძოლა იქნება.

ფეხბურთი. ფრანგული "ლიონის" ლიდერი ჟუნიტო რამდენიმე კვირით მწყობრიდან გამოვიდა. ამრიგად, "ოსერთან" გამარჯვება საფრანგეთის მოქმედ ჩემპიონს ძვირად დაუჯდა. ბრაზილიელმა მუხლი დაიზიანა. უფრო სავარაუდოა, რომ ჟუნიტო ჩემპიონთა ლიგის მატჩს "რეალ სოსიედადის" წინააღმდეგ არ ითამაშებს.

ფეხბურთი. სეზონის ბოლოს "ვერდერს" მოუწევს, თავის კიდევ ერთ ლიდერს დამეშვიდობოს. გუნდს დატოვებს სლოვაკი ფორვარდი ივან კლასნიჩი, რომელზეც "მალკე", "ბაიერი" და "ჰამბურგი" აცხადებენ პრეტენზიას. კლასნიჩის კონტრაქტი ივლისში იწურება, რის შემდეგაც მას უფლება ექნება, კომპენსაციის გარეშე გადავიდეს ნებისმიერ კლუბში.

ფეხბურთი. არასპორტული საქციელისთვის ლონდონის "არსენალის" შეკარე იენს ლემანი 10 000 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს. მან "საუთჰემპტონის" ფორვარდს, კევინ ფოლისს ბურთი უსროლა.

ფეხბურთი. კომპანია "პარმალაცი" ჩადენილი თაღლითობის ბრალდებით დააკავეს კონცერნის დამფუძნებლის კალისტო ტანცის შვილები. დაპატიმრებულია სტეფანო ტანცი, საფეხბურთო კლუბ "პარმას" ყოფილი პრეზიდენტი, რომელმაც სკანდალის გამო თანამდებობა დატოვა და ფრანკესკო ტანცი, რომელიც ტანცის ოჯახის კუთვნილ ტურისტულ კომპანიაში მუშაობდა. დამნაშავეები პარმაში გუშინ, კომპანიის მთავარ ოფისთან დააკავეს.

ფეხბურთი. ბუნდესნაკრები ხორვატებთან ამხანაგური მატჩის წინ თავისი გამოკვეთილი ლიდერის გარეშე წარდგება. მიხაელ ბალაკი ამ მატჩს გამოტოვებს. "ბაიერნის" ნახევარმცველს ბრონქიტით დამართა. რეუდი ფოლერმა ფეხბურთელი უკვე გაათავისუფლა. რა დრო დასჭირდება ბალაკის გამოჯანმრთლებას, ჯერჯერობით უცნობია.

ფეხბურთი. ლივერპულის "ვეერტონის" ფორვარდს უენი რუნი თავის სპორტულ მომავალს საბოლოოდ პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ განსაზღვრავს. ცნობილია, რომ რუნი "მანჩესტერ იუნაიტედს" და "ჩელსი" არიან დაინტერესებული.

ფეხბურთი. ლონდონის "არსენალმა" შეიძლება სამუდამოდ დაიბევოს ინგლისის თასი. იმ შემთხვევაში, თუ ლონდონის "არსენალი" წლეულს ინგლისის თასს მოიგებს, მას საპატიო ჯილდო მუდმივ სარგებლობაში გადაეცემა. წარმატების შემთხვევაში "არსენალი" მეორე გუნდი გახდება, რომელიც მსგავსი მიღწევით იტრაბახებს. ზედიზედ სამჯერ ინგლისის თასის მოგება მხოლოდ "ბლექბერნმა" მოახერხა.

კალათბურთი. "დეტროიტის" ცენტრმა ჟელკო რებრაჩამ საკრამენტოელ ბრედ მილერს ჩაარტყა, რისთვისაც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. "დეტროიტის" ფორვარდი კორლის უილიამსონი კი იმავე მიზეზზე თავდასხმის გამო 5 000 დოლარით დააჯარიმეს. რებრაჩა "ნიუ-ორკიანს" მატჩს გამოტოვებს.

ჩოგბურთი. ბელგიელი ჩოგბურთელები ჟიუსტინ ენინ-არდენი და კიმ კლიისტერსი, რომლებიც რეიტინგის მიხედვით, შესაბამისად, პირველი და მეორე ადგილებზე არიან, სპორტში უდიდესი მიღწევებისთვის ბელგიის სამეფო ორდენით დააჯილდოვებს. ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო სპორტსმენებს ორშაბათს ბელგიის მეფემ, ალბერტ მეორემ გადასცა. დაჯილდოების ცერემონიას ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გი ვერპოფსტადტი ესწრებოდა.

კრიგი. ინდონეზიის ქალაქ პადანგში გაიმართა ბრძოლა მსუბუქ ნონაში. ერთმანეთს შეხვდნენ ჰენრი ჰანსენი და ინდონეზიელი ნიკოლასი. მეშვიდე რაუნდში ჰანსენმა მეტოქე მძიმე ნოკაუტში ჩააგდო, რამაც ინდონეზიელი მოკრივის კომა გამოიწვია. მოკრივეს ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ის დღემდე რეანიმაციის განყოფილებაშია. დაახლოებით იმავე დროს, ინდონეზიის სხვა ქალაქ პერეკურტოში სიამსულა ჰიდანიათთან ბრძოლის შედეგად კიდევ ერთი ინდონეზიელი მოკრივე ჯექ რიანი მძიმე ტრავმის შემდეგ კომაში ჩავარდა. იანვარში თავის ტვინის ტრავმის შედეგად გარდაიცვალა ინდონეზიელი მოკრივე ენტონი მოსი.

ოლიმპიზმი. გუშინ 78 წლის ასაკში ავსტრალიის ქალაქ პერტში გარდაიცვალა მძლეოსნობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი შირლი სტრიკლენდი. სპორტული კარიერის განმავლობაში მან პეკისინკის (1952 წელს) და მელბურნის (1956 წელს) ოლიმპიურ თამაშებზე მოიგო ოქროს მედლები 800 მეტრ დისტანციაზე სირბილში. სტრიკლენდის აქტივობა, აგრეთვე, მელბურნის თამაშებზე, ოლიმპიური ოქროს დისტანციის ნაკრების შემადგენლობაში 4100 მეტრზე სირბილში. სულ სტრიკლენდის აქტივში 7 ოლიმპიური მედალია - ავსტრალიელთაგან ყველაზე მეტი.

ალჰინიზმი

ქართველები სამხრეთ და ჩრდილო ამერიკის კონტროზე

გიზა ბარასაშვილი

ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის უმაღლესი მწვერვალის - აკონკა-გუას დასაპყრობად შემართული რუსული ექსპედიციის “ალპინდუსტრიის” წევრები გამარჯვებას ზეიმობენ. ექსპედიციამ მიზანს მიაღწია. ორად გაყოფილმა ჯგუფმა აკონკაგუას მწვერვალს ერთსაათიანი ინტერვალით მიაღწია. ექსპედიციამ შემავალ ორ ქართველ მთამსვლელს - ჰიძინა გუჯაბიძესა და ლევან მუშუქუდიანს კოსტია ავდონინთან და ვლადიმირ პუშკარევთან ერთად ერთობ საპატიო მისია დაეკისრა - ქვევით მომლოდინე ექსპედიციის 13 წევრს მწვერვალი-კენ გზა გაუკვალეს. “ალპინდუსტრიის” წევრები მოსკოვიდან არგენტინისკენ 31 იანვარს გაემგზავრნენ. მომქანცველი მგზავრობის შემდეგ აკონკაგუას მისადგომებსაც მიაღწენენ, რაზეც ექსპედიციის ხელმძღვანელის ალექსანდრ აბრამოვის მიერ გამოგზავნილი დღიურებითაც ვი-უნეებოდით. ვაგრძელებთ აბრამოვის მიერ სხვადასხვა საშუალებით გავრცელებულ ჩანაწერებს, დღიურებს, რომლებშიც ეტაპობრივად და აღწერილი ექსპედიციის ხეტიალი და, რა თქმა უნდა, ისიც, თუ როგორ მიაღწიეს მიზანს. დღიურებს 8 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით ოდნავ შემოკლებული სახით გთავაზობთ.

6 თეაერავალი: დილით შევუღმფრენის ხმამ გაგვადვიბა. რეინჯერები იყვნენ, რომლებმაც ხიდი მოიტანეს და მდინარეზე გადაებას ცდილობდნენ. ჩვენმა ჯგუფმა პირველმა გაიარა ამ ხიდზე. ვიცოდით, რომ მძი-

მე დღე გველოდა, მაგრამ ბევრად უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა. ზურგჩანთები დილის 9 საათზე ჩავალაგეთ და Confluencia-ს ბანაკიდან დავიძარი. გზა მკვეთრად მთებისკენ მიემართებოდა. შემდეგ ვაკეზე აღმოვჩნდით. რამდენჯერმე მდინარეში შევვალაც მოგვცხდა. ამა-სობაში 5-6 საათი მიიღია. მერე ერთ კარგ თავშესაფარს მივუახლოვდით, იქიდან კი გავუყვითთ მომქანცველ აღმართს, რომელმაც ძალა გამოგვაცალა. საღამოს ყველანი გადაღლილები და მშვიერები ვიყავით. ამიტომაც გადავწყვიტეთ, დაგვესვენა.

7 თეაერავალი: დღეს ვისვენებთ, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ კარვებში ენებოერო. ჯგუფის ერთი ნაწილი უახლოესი სასტუმროსკენ გაემართა. დაახლოებით 20-წუთიანი სავალი ვერტიკალზე და აღმოვჩნდით მაღალმთიან ოტელში, სადაც საშუალება მოგვეცა, კათხა ლუდი დაგველია, ცოტა ნაგვებქმსა და ტელეფონით გვესარგებლა. ჩვენი ჯგუფი 19 წევრისგან შედგება. აქედან ორი ქართველია, ერთი სომეხი, ერთი ინგლისელი, ბელორუსები და რუსები. თავს ყველანი კარგად ვგრძნობთ. დილას რუსული ლაპარაკით ვინწყებთ, სადილისთვის ინგლისურზე და ესპანურზე გადავდივართ, საღამოს კი ქართულად “ჩიტუ-გრიტუს” (აბრამოვი, ალბათ, “ჩიტო-გვრიტოს” გულისხმობს.-რედ.) ვმღერით. ვატყობთ, ამინდი ფუჭდება.

8 თეაერავალი: კვირას მთელი მსოფლიო ისვენებს. მარტო ჩვენ ვართ, 25-კილოგრამიანი ზურგჩანთებით



აკონკაგუაც დალაშქრულია

რომ შევუდექით აღმართს. მთელი ღამე საშინელი ქარი იყო. საბაზო ბანაკში კარავი ზევით-ქვევით ქანაობდა. სამსაათიანი ხეტიალის შემდეგ ბანაკ “კანადას” მივალწიეთ. აქედან აკონკაგუას დასავლეთ კედლის ხედი იშლება. ბანაკში ყველაზე დიდი პრობლემა წყალი. შორიახლოს მღვრიე ნაკადულები მიედინება. ამიტომ ხელოვნურად პატარა ყურე გავაკეთეთ, რომ წყალი დანმენდილიყო. პრობლემა საპირფარეოსთან დაკავშირებითაც. რაკი ერთენული პარკის ტერიტორიაა, პოლიეთილენის პარკებს ვიყენებთ, მერე კი ქვევით, საბაზო ბანაკში მიგვადქვს.

დღის განმავლობაში ამინდი არაერთხელ შეიცვალა. მზის ჩასვლისას კი ცა მოიწმინდა. ხვალ, გემის მიხედვით, 5600 მეტრზე უნდა ავიწაცვლოთ.

აც გამოანათა, მაგრამ ვერ გვათობდა. ცოტა ხანში 4300 მეტრზე, საბაზო ბანაკში დავევით. ზევით დავტოვეთ კარვები და რალაც საგნები. ბანაკში დამვებიდან ერთ საათში ნამოვიდა სეტყვა, რასაც თოვლიც მოყვა. გაგვიმართლა, რომ ზევით არ დავრჩით. სხვა რა გზა გვეკონდა - ზურგჩანთებიდან არაყი ამოვიღეთ და კარგი ამინდისა დავვადეთ. ხვალ დასვენების დღე გვაქვს.

11 თეაერავალი: ეტყობა, ცუდი ამინდი დიდხანს თავს არ დაგვანებებს. დილიდანვე კარვებიდან თოვლის ჩამოწმენდას შევუდექით. მთელი ღამე ჭექა-ქუხილი იყო. დღისით კი მზე დროდადრო ანათებდა. სადილამდე სასტუმროსკენ გავისერიწეთ - ყვავა დავლიეთ და მაგიდის ჩოგბურთი ვითამაშეთ. უკან დაბრუნებისას ქარბუქი წამოგვეწია.

ხვალ მძიმე დღე გველის – საბაზო ბანაკიდან (4300 მ.) 5600 მეტრზე უნდა ავიდეთ. თუ ყველაფერი კარგად იქნება, ზეგ ბანაკს 5900 მეტრზე ავიტანთ.

12 თეაერავალი: მთელი დღეა, სამხრეთ-დასავლეთიდან ანუ ანტარქტიდიდან სუხიანი ქარი უბერავს. ზედა ბანაკებში მყოფ მთამსვლელებს საბაზო ბანაკში დამვება მოუხდათ, ის მცირე ნაწილი კი, რომელიც მწვერვალის დალაშქერას ლამობდა, აკონკაგუამ არ გაიკარა.

საბაზო ბანაკიდან გასულმა ექსპედიციამ 4 საათისთვის “კონდორის ბუდეს” მიაღწია. ბანაკში ასულებს ჩვენი კარვები აღარ დაგვხვდა - ქარს წადო. ახლა უკვე დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას გვება, როლლის მიხედვითაც 5950 მეტრზე, “ბერლინის” ბანაკში უნდა ავსულიყავით.

პირტუალური კედელი "ყაზბაგში"

გიზა ბარასაშვილი

ზამთარ-ზაფხულს პამირს არაერთი ექსპედიცია სტუმრობს. პამირის ზუმბერაზთა ასევე ხშირი სტუმრები არიან ქართველი ფათერაკის მაძიებელნიც, რომლებიც, ძირითადად, სხვათა ექსპედიციებს შეკედლებულნი მიიკვლევენ გზას ვერტიკალურ სამყაროში. მიუხედავად ამისა, ბევრი რთული და საარაკო მარშრუტიც გაუვლიათ. 12 დეკემბერს გია თორთლაძემ კიდევ ერთი რთული მარშრუტი გაიარა. მართალია, დაგვიანებით, მაგრამ ჩვენი ცნობისმოყვარეობა თავად დაკმაყოფილა, როცა კომპანია “ყაზბეგის” ოფისში პრესკონფერენციაზე გვიხმო.

თუ რატომ მაინცდამაინც “ყაზბეგის”, ამის თაობაზე თორთლაძემ გვითხრა, რომ ექსპედიციის დაფინანსებაში, ისევე როგორც “ჯეოსელს”, ამ კომპანიასაც მიუძღვის წვლილი.

“ექსპედიცია ორი ნაწილისგან

შედგებოდა. პირველის მიზანი “ლენინის პიკის” (7134 მ.) დალაშქვრა გახლდათ (“ლენინის პიკი” სიმაღლით პამირის რიგით მეორე მწვერვალია “კომუნისმის პიკის” (7495 მ.) შემდეგ.-რედ.), თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ ექსპედიცია წარუმატებელი გამოდგა. უფრო სწორად, ცუდად დასრულდა. საქმე ისაა, რომ ექსპედიციის წევრთა უმეტესობა ავად გახდა, მათ შორის მეც. მაგრამ ეს გასასხენებლადაც არ ღირს, რადგან ტრაგედია დატრიალდა - დაიღუპა ერთი ახალშედა მთამსვლელი. ფერდობს მოწყვეტილმა, დაახლოებით 600 მეტრი იფრინა. როდესაც იპოვეს, სულ დაღლილი იყო, შუბლში კი წერა-ყინი ჰქონდა გარჭობილი. ამაწ, ბუნებრივია, ჩვენზე საშინლად იმოქმედა, იმდენად, რომ განზრახვაზე ხელი აგვადებინა. მაღე ბიშკეკში, ყირგიზეთის დედაქალაქში დავბრუნდით. მოვეშუდით, ძალ-ღონე მოვიტყობით და ექსპედიტი მირის მეორე ნაწილის განხორციელებას შე-



თორთლაძემ კორონას თავზე საქართველოს ახალი დროშა ააფრიალა

ველოსპორტი

პოკირებული იტალია დამნაშავეს ეძებს

კიდევ ერთხელ მარკო პანტანის გარდაცვალების შესახებ

ნინო პირველი

2004 წლის 15 თებერვალი. საბერძნეთიდან მომავალი ბორანი ანკონას პორტს უახლოვდება. მგზავრები თანაგრძნობით შეჰყურებენ შუახნის ატორებულს, რომელიც მთელი გზა არ დაწყნარებულა. “მათ ის მომიკლეს, მომიკლეს!” - ტონინა პანტანი ყველას უყვება თავისი მარკოს შესახებ, რომელიც 14 თებერვალს მოულოდნელად გარდაიცვალა რიმინის სასტუმრო “ლე როზეში”. 10 საათსა და 30 წუთზე ბორანი ანკონაში შედის. მარკო პანტანის მამა, პაოლო, მეუღლეს ხელს უწვდის და ორივენი სწრაფად ადიან თეთრ ავსტობუსში. პორტში საგანგებოდ მათ დასახვედრად მისული ჟურნალისტები ერთი შეკითხვის დასმასაც ვერ ასწრებენ. ამასობაში რიმინიში გამოძიებულმა პაოლო ჯენტრომ უკვე გამორიცხა ძალადობა და დამამკვიდრებელი აბეტიო მონამელა. თეიმოკველოძობის ვერსია კვლავაც აქტუალურია. “ოთახი საშინლად არეულ-დარეული იყო. ისეთი მთაბჭქილება რჩება, რომ გაციფებული პანტანი რალაცას გამწარებით ეძებდა. დამამკვი-

დებლების გარდა ნომერში კოკაინიც ნახეს. თავად პანტანი კი ნახევრად მიშველი იმეა ლოგინში. ცხვირზე სისხლი ჰქონდა შემხმარი”, - წერდა გუმინ რომაული გაზეთი “ლა რეპუბლიკა”.

პანტანის ოთახში პოლიციამ იპოვა ცხრა ფურცელი, რომლებზეც ზღვის პირას განმარტოებული ველომობრი ჩანაწერებს აკეთებდა: “ჩემი არავის ესმოდა, თვით ჩემს ოჯახსაც კი. ყოველთვის მარტოსული ვიყავი. მათ მხოლოდ ჩემი დასჯა უნდოდათ”, - წერდა პანტანი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე. “ჩემი ყფანტინო” საკუთარ თავს შეთქმულების მსხვერპლად მიიჩნევდა, ფიქრობდა, რომ ვიღაცებს ველოსპორტიდან მისი მოშორება სურდათ. არადა, პანტანის ძალიან უყვარდა ველოსპორტი, სხვაწიერი ცხოვრება მას, უბრალოდ, ვერც კი წარმოედგინა. “ლე როზეს” ნომერში პოლიციამ ერთი უცნაური ნახატიც იპოვა - ფურცელზე მაღალი მთა იყო დახატული, ქვემოთ კი ეწერა: “ძალიან მინდა ისევ ველოსიპედზე ჯდომა”...

დიდი სპორტიდან წასული, დებრესიამ ჩაეარდნით მარკო პანტანისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი, მაგრამ არა ეს საიდუმლოებით მოცული სიკვდილი. იტალია შოშია, ტიფოზები პანტანის გარდაცვალების მიზეზს ეძებენ. უკვე ისეთი ფაქტებიც გახდა ცნობილი, რაც ველომობროლის სიციცლენში არ გახმაურებულა. მაგალითად, გაირკვა, რომ პაოლო დროს პანტანის საერთოდ აღარ ჰქონდა ურთიერთობა თავის ოჯახთან. მის ფინანსურ საქმეებს მამა გაეხატებდა. პანტანის, უბრალოდ, არ შეეძლო, გაეკონტროლებინა თავისი ქონება. “მას მხოლოდ საკრედიტო ბარათი ჰქონდა, ანგარიშზე არსებული ცხრა კი სულაც არ იყო დიდი”, - წერს “გაძეტა დე-



პანტანის სიკვდილის მიზეზი პოლიციამ ჭერ ვერ დაადგინა

ლო სპორტი” პოლიციიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ალბათ, სწორედ ამის გამო დაიძაბა ურთიერთობა პანტანისა და მის მშობლებს შორის. ისიც მალე გახდა ცნობილი, რომ გარდაცვალებამდე ორი-სამი კვირით ადრე პანტანი კუნძულ კუბაზე გაემგზავრა და სახელგანთქმული არგენტინელ ფეხბურთელს, დიეგო მარადონას შეხვდა. ნარკოტიკების მოყვარული მარადონა კუბაზე მკურნალობის კურსს გადიოდა. როგორც ჩანს, პანტანისაც ჰქონდა მსგავსი მკურნალობის ჩატარების სურვილი. “ჩემი ყფანტინო, მეტ-ნაკლებად დამნაშავე ვართ მის წინაშე. როცა ის იმარჯვებდა, ყველა ზეიმობდა. როცა გაუჭირდა, სრულად მარტო დარჩა”, - უთხრა მარადონამ იტალიელ რეპორტიორებს. გამოძიებელი ახლა იმის დადგენას ცდილობს, რამ აიძულა პანტანი, რიმინის სასტუმროში გამოეკეთათ. “ლე როზე” სულაც არ არის ისეთი პოტელი, რომელსაც პანტანის მსგავსი ვარსკვალეები სტუმრობენ. აქ ერთ-ერთი მთავარი პირობაა 61 ევრო ღირს, სტუმრებს კი ნამდვილად არ სთავაზობს სრულ კომფორტს. რა უნდოდა პანტანის ამ სასტუმროში? ალბათ, მხოლოდ განმარტება. როგორც ღამის პორტიე პიტრო ზურელიტო ამტკიცებს, “ილ პირატა” ნომრიდან იშვიათად გამოდიოდა. მუდამ დაძაბული და აღელვებული იყო. პანტანის მეგობრები სიციცლენის განმარტებას და დებრესისა, სასამართლოსთან არსებული უსამიფენებებისა და პროფესიული პრობლემების გარდა, კიდევ ერთი მიზეზით ხსნიან: გაცრუებული სიყვარული... საქმე ისაა, რომ ექვთი თვის წინ პანტანი მეგობარმა ქალმა მიატოვა. დანიელი კრისტინა იოჰანსონი და იტალიელი ველომობრი ცხრა წლის განმავლობაში ერთად იყვნენ.

“შენს გარეშე ცხოვრებას აზრი არა აქვს”, - წერდა პანტანი სატრფოს. კრისტინასთან განშორების შემდეგ პანტანის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა - მან ოჯახთანაც განწყვიტა ურთიერთობა, ანტიდებრესანტებს და დამამკვიდრებელ პრეპარატებს მიეძალა, ცოტა ხანში 25 კილო მოიმატა, დისკოთეკებისა და ღამის კლუბების ხშირი სტუმარი გახდა. შემდეგ კუბაზე გაემგზავრა. როგორც ჩანს, პანტანის შორს გამგზავრება დებრესიიდან თავის დაღწევის საშუალება ეცონა. 27 თებერვალს ის თორმე ბოლივიაში აპირებდა წასვლას...

როგორც კი პანტანის გარდაცვალება ცნობილი გახდა, რიმინის საავადმყოფოს მაშინვე უამრავი ადამიანი მიანახდა. ტიფოზებს თავიანთ კერპთან გამოთხოვება უნდოდათ, მაგრამ პოლიციამ მორგში მხოლოდ პანტანის და მანოლა შეუშვა. პანტანი იტალიაში ძალიან უყვარდათ. უკვე ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ის იტალიური სპორტის ლეგენდად დარჩება. ტიფოზებს ყოველდღე მიაქვთ ყვავილები სასტუმროს კართან. “გაძეტა დღლო სპორტმა” პანტანის მთელი ხუთი გვერდი მიუძღვნა. პირველ გვერდზე კი დიდი ასოებით ეწერა: “ის წავიდა!” ველომობროლის ჰომ პეიჯზე ფანები გულისამაჩუყებელ ჩანაწერებს აკეთებენ: “მე დავცნაწირი სასტუმროდან მის გადასვენებას. მარკოს მშვიდი სახე მოქნდა. მისი თავი ხელებში მოვიქციე და ჩავძახე: გაიღვიძე, მარკო, გაიღვიძე!” - ასეთ ფრაზებს უხვად ნახავთ ამ ლელებში პანტანის ვებ-საიტზე და ეს სულაც არ არის ყალბი პათეტიკა. პანტანი ბევრ ფანს, მართლაც, ძალიან უყვარდა. სამწუხაროდ, მათ მეტისმეტად გვიან გამოხატეს თავიანთი სიყვარული...

პარჭიში ბრძნობის დაკარგვამდე



ჯენიფერ ლოპეზი

ამბობენ, რომ სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს. პოლიუდის ვარსკვლავებს რომ გადავხედოთ, ამ გამონათქვამის ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით. თავდადებული ვარჯიში და უმკაცრესი დიეტები მათი ცხოვრების განუყოფელი შემადგენელი ნაწილია, რადგან მათი სხეულები მეტია, ვიდრე კაპიტალი...

ის, რომ მადონას 44 წელი არაფრით ეტყობა, მხოლოდ ბუნების დამსახურება როდია. მადონა იოგას ფანატიკური მქადაგებელია, განსაკუთრებით მის ექსტრემალურ ფორმას, აშტანგა-იოგას მისდევს, რომელსაც მის დღის განრიგში, სულ მცირე, საათნახევარი ეთმობა. გარდა ამისა, ვარსკვლავი ყოველწლიურად წვენების დიეტას იცავს და ჯადოსნურ საშუალებას, The Cleanse-საც ხმარობს – ეს სიამოვნება კვირაში 800 დოლარი ჯდება, მაგრამ მადონას, მოგეხსენებათ, არ უჭირს.

იოგას მიმართ სიყვარული მადონამ თავის უახლოეს მეგობარს, გვინეტ პელტროუსაც “გადასდო”, მაგრამ გვინეტი დამწყბია, ამიტომ ორ-ორ საათს ვარჯიშობს ხოლმე. გარდა ამისა, მსახიობი არც ხორცს ჭამს, არც კევრცხს და არც

რძის ნაწარმს, კოფეინს არ ეკარება და თავადაც აღიარებს, რომ ასე ცხოვრება ბევრი ვერაფერი საიმონებზაა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯენიფერ ლოპესი გვინეტივით გამზდარ ქალებს იქედნურად შესცქერის და თავის მრგვალი ფორმებით ძალიან ამაყობს, ის ვარჯიშს მეტ დროსაც კი უთმობს: ყოველ დილას ოთხ საათზე დგება და ვარჯიშს ხუთ საათს ანდომებს. ჯენიფერი უფრო შორსაც წაივია: კვირაში ორჯერ მასთან კვების სპეციალისტი მიდის სტუმრად და მაცივარს უმონმებს – კუბურ ცხარე სოუზებს და ტკბილეულობას იქ არაფერი ესაქმება.

ქალურ ფორმებს არც კეტრინ ზეტა-ჯონსი უჩივის, და ჯეი ლოსი არ იყოს, ამით ისიც ამაყობს. მაგრამ ვაჟის გაჩენის შემდეგ “აკრეფილმა” 25-მა კილოგრამმა, როგორც ჩანს, მასაც კი გუნება გაუფუჭა, და კეტრინმა ვარჯიში დაიწყო. თავიდან ძალიან გაუჭირდა, შეუწყვეელი იყო და მთელს სხეულზე სისხლჩაქცევები ჰქონდა. მაგრამ კეტრინმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ძალიან, ძალიან უნდა გამხდარიყო, სილამაზე კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მსხვერპლს მოითხოვს.

პრადაში საღვადორ



საღვადორ დალი

ჩეხეთის დედაქალაქში საღვადორ დალის მუზეუმი გაიხსნება, - აცხადებს “რადიო პრალა”. მსოფლიოში ცნობილი არქიტექტორი დანიელ ლიბესკინდი, რომელიც ნიუ იორკში განადგურებული მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტყუპების ადგილას მემორიალს ააგებს, პრადაში ჩაფრინდა. ჩეხეთის დედაქალაქს იგი საღვადორ დალის მუზეუმის პროექტს შესთავაზებს.

ქალაქის რომელ ნაწილში გაიხსნება დალის მუზეუმი, ლიბესკინდი პრალის მერთან ერთად გადაწყვეტს. ამ დროისთვის ცნობილია, რომ მშენებლობას სპონსორობას ესპანელი, რუსი და ჩეხი მეცენატები გაუწევენ. გახსნის დღეს მუზეუმში დიდი მხატვრის ათას ტილოს გამოფენენ, რომლებსაც ესპანეთიდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან, საგანგებოდ ამ დღისათვის ჩამოიტანენ.

ზიდსთან ბრძოლას ელტონ ჰონმა საკუთარი საყვარე ზესწირა

ნიკოლ კიდმანმა, ელტონ ჯონმა, ჰეიდი კლუმმა და სხვა მსოფლიოში ცნობილმა ადამიანებმა, ზიდსთან ბრძოლის წინააღმდეგ, ავსტრიის საზოგადოების ფონდში ფულის შეგროვების აქციაში მიიღეს მონაწილეობა.

აუქციონზე, რომელიც ორგანიზაცია Life Ball გამართა, კინოსა და ესტრადის ვარსკვლავების მიერ გაფორმებული გულის ფორმის გამოსახსლებიანი ყუთები გაიყიდა. სხვადასხვა ორნამენტებით ისინი პატარა ხის ზარდახშებზე, საკუთარი

რი იმიჯის დაფიქსირებას შეეცადნენ. მაგალითად ელტონ ჯონმა ყუთის გასაფორმებლად საკუთარი საყურე გამოიყენა.

თუმცა უცხოელი სტუმრების შემონირულობებმა ავსტრიელები დიდად ვერ აღაფრთოვანა, მათ ისევ თავიანთი ნაკეთობები არჩიეს. ყველაზე ძვირად ავსტრიელი მხატვრების - გოტფრიდა კამპფას, განსა სტაუდაჩერას და მხატვართა ჯგუფ “ჟელატინი”-ს მიერ მოხატული ყუთები გაიყიდა. ამ გზით აუქციონზე, საბოლოოდ, 60 ათასი დოლარი შეგროვდა.

"Programme of Assistance for thePrevention of Drug Abuse and Drug Trafficking in the Southern Caucasus (SCAD Programme). This Programme is funded by the European Union"

მეგობრების ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე ამიერკავკასიის ანტიდარკოტიკული პროგრამა

სატენდერო განცხადება

ამიერკავკასიის ანტიდარკოტიკულ პროგრამას ევროგაერთიანების ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). ამ პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს შს სამინისტროსა და საბაჟო პოსტებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა ნარკოტიკებზე კონტროლის გაძლიერების მიზნით.

UNDP აცხადებს ტენდერს 8 ცალი ავტომობილის (ნივა ვაზ-21213) შეტენაზე. სატენდერო პირობები განთავსებულია ინტერნეტის ვებ-გვერდზე: www.undp.org.ge

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები დახურული კონვერტით პროგრამის კოორდინატორ ბნ პატკა ნოზაძესთან აქვლის 25 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ

მისამართზე: თბილისი,0179,პრინთაზის9,გამროს სახლი. ტელ: 25-11-26/28/29/31; 19-10-00 (მრგ).

საბავშვო გაზეთი 12-მა

მარვი, მაცხრა, მათა, ღირაჟის გამარჯვებული ნომრები:

09005662

09005829

09004403

09004003

09004229

09000479

09000069

09005220

09002697

09004397

09001580

09005665

09004846

10003001

10000619

10006320

10003366

10006293

10003516

10005992

10002144

10004718

10003680

080005839

08000566

08005934

08004426

08002964

08000010

08002262

08001055

08001979

08002814

სწავლა ლონდონში

სოლომონაშვილი ფასად

ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გერველი ზარისხის მოსამზადებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კაბუთი შედარების ლონდონ ბრუნდს. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღრსმქსანიშნობები ითხოვრული. პროგრამები ზაქალაქის ზარისხის მოსამზადებლად ხორციელდება. სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად, ხოლო პროგრამები ზაქსტრის ზარისხის მოსამზადებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელსადში სანდერ (სოფმერი / აბრელი / აგვისტო). მორიცა კურსის დინეცხის თარიღია 2004 წლის 3 აბრელი.

MBA

MSc

გაკავბინაი / ფინანსაი / IT

კვპპტარნული კრვამინი / HRM

კარკპპპის ზეპაქპპპი

საინფორკაპპიუ ბპპარკპპპი

კრვამინიკპპპი სისტპპის ინფინკპი

ინგპპპპპის ინფინკპი

სრული კარსის ფასი

£3950

სანკარკპპპპა 15.

ბრუნდის ან ბრუნს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ზაქალაქის ზარისხის მოსამზადებლად 2-წლიანი დამტარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულება £ 4950.

ზამოთ აღინფაული თანხის გაფასება შესაძლებელია იტაპპპპპპპა

იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ზესაინიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემდეგ.

იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ნინა მქსნიშვილი / ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის მომღები განყოფილება

მის: თბილისი, მქსიის 2, სადარბაზო 1, ოფისი 1.

ტელ: 253045, 230284. მობ: 893-352067

E-mail: stmgorgia@hotmail.com

www.stmlondon.co.uk

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „შინიჩი“

გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თქვენთვის:

- კლავიატურაზე ბეჭდვის პათითთან შეიოდა,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრესიება,საბოლალტრო-კონიომიკური ამოცანები – MS Excel.
- დოკუმენტი ქიელი,ინტერნეტი,ვებგებვა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართ: დ-უნდონის № 72

გვ:29-48-61

ნომის ტაქაფონი

ხოწსატასიაზი ინსიი

822 009 005

მოზილური 800

თბილისი 500

18 წლიდან

საქსი დეიქ

შეიძინეთ გაერთეთ! მოიგეთ!

ყოველ შაბათს, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტოტალმატორ საოვბო ტოტოს გათამაშება.

ფორმა "ფენიქსი" ყოველზე წარმტებს.

წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვერლის ზაგეთა მიწეებვა, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძელის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესწებათ.

"სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქივანი და ჩირქმზადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), პეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინევიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აკრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მოშაბარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ზაგესის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.